With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

სტუდენტთა კონფერენცია „ევროკავშირი და გორი“
Students' Conferene "European Union and Gori"

ჟან მონეს მოდული „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“

Jean Monnet Module

"EU Explored in the AA"/EUEAA

619809-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-MODULE

საკონფერენციო მასალები

Conference Materials

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Gori State Teaching University

გორი/Gori, 2022

2020 წელს, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ერასმუს+ ჟან მონეს აქტივობების (JMA) კონკურსში და მიიღო მხარდაჭერა ჟან მონეს მოდულის *„აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“* (EUEAA) განხორციელებაში. მოდულის ფარგლებში შემუშავდა კურიკულუმი *„ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოება“.* სასწავლო კურსი ინტეგრირებულია სამართლისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ასევე, სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებში.

მოდულის მიზანია, ევროპული სწავლების გაძლიერება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში და ევროკავშირის შესახებ ცნობიერების ამაღლება. იხ. მოდულის ვებგვერდი https://gu.edu.ge/ge/international-relations1/jean-monnet-module/activities

მოდულის ფარგლებში 2022 წლის 10 ივნისს, ჩატარდა სტუდენტთა კონფერენცია სახელწოდებით „ევროკავშირი და გორი“. საკონფერენციო მოხსენებები ასახავდნენ, შიდა ქართლის ფარგლებში ევროკავშირის დახმარებების ინსტრუმენტებით ინიცირებულ და განხორციელებულ პროექტებსა და შედეგებს.

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: ქ-ნი მარიკა შერაზადიშვილი, ბ-ნი ივანე ბალახაშვილი და ბ-ნი გიორგი ყაზიშვილი. მოდულის კოორდინატორია ქ-ნი ეკატერინე ქარდავა.

რედაქტორები: ეკატერინე ქარდავა, გიორგი ყაზიშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა

სარჩევი
Contents

ხატია ხაბაშვილი, თეიმურაზ კოპაძე (Khatia Khabashvili, Teimuraz Kopadze) 6
ევროკავშირის ხელშეწყობა გორის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში 6
EU Support to Gori Infrastructure Development 6
შესავალი 9
1. ევროკავშირის ფინანსური როლი გორის ინფრასტრუქ-ტურის განვითარებაში 12
2. სოციოლოგიური კვლევის შედეგები 14
დასკვნა 16
გამოყენებული ლიტერატურა 17

თამარ კვაღინიძე, ლანა მეტრეველი (Tamar Kvaghinidze, Lana Metreveli) 19
ევროკავშირი, ტურიზმის განვითარებისთვის 19
EU for the Development of Turism 19
შესავალი 21
1. ევროკავშირი და ტურიზმის განვითარების ხელშეწ-ყობა 23
1.1. კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლების რეაბი-ლიტაციის მნიშვნელობა ტურისტის მოსაზიდად, ეკო-ნომიკის განვითარებისთვის 23
1.2. ევროკავშირის ჩართულობა კულტურულ-მემკვი-დრეობითი ძეგლების აღდგენასა და სივრცის მოწყო-ბაში 25
1.3. ვიზიტორების სტატისტიკური მონაცემები 29
დასკვნა 31
გამოყენებული ლიტერატურა 32

მარიტა მამუკაშვილი (Marita Mamukashvili) 34
განათლება და ახალგაზრდობა გორში 34
Education and Youth In Gori 34
შესავალი 37
1. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები ქალაქ გორში და ერასმუს + პროექტები გორის უნივერსიტეტში 37
2. გორი განათლებისა და ტრენინგების სფეროში 40
3. საზოგადოება ბილიკისა და ევროკავშირის თანამშრომლობა 43
4. დასაქმების ფორუმი გორში 45
დასკვნა 46
გამოყენებული ლიტერატურა 47

ხატია ფერსაშვილი, მარიამ ისპირიანი (Khatia Persashvili, Mariam Ispiriani) 49
ევროკავშირის როლი განათლებისა და ახალგაზრდული სფეროს განვითარებაში, შიდა ქართლის რეგიონში 49
Role of the EU in the Development of the Education and Youth within the Shida Kartli Region 49
შესავალი 50
1. ახალგაზრდული პოლიტიკა, განათლების სახეები 52
2. ასოცირების ხელშეკრულების VI კარის მე-16 თავის მიმოხილვა 56
3. ევროკავშირის როლი ფორმალურ განათლებაში, შიდა ქართლის რეგიონში 58
3.1. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული რეფორმები და პროექტები შიდა ქართლის სკოლებში 58
3.2. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული რეფორმები და პროექტები შიდა ქართლში არსებულ უნივერსიტეტებში 61

3.3 მობილობის პროგრამები 62
4. ევროკავშირის როლი არაფორმალურ განათლებაში შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისთვის 62
4.1. ევროკავშირის როლი და მნიშვნელობა ფორმალურს გარე განათლებაში, შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის 65
დასკვნა 66
გამოყენებული ლიტერატურა 67

თამარ ჩიტიშვილი (Tamar Chitishvili) 69
ევროკავშირის როლი შიდა ქართლში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში (გორისა და გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე) 69
The role of the European Union in the development of social entrepreneurship in Shida Kartli (on the example of Gori and Gori municipality) 69
შესავალი 70
1. ნარჩენები და მათი ზეგავლენის მასშტაბი 71
2. მწვანე ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა 75
3. ევროკავშირის როლი სოციალური მეწარმეობის განვითარებაში შიდა ქართლში 77
დასკვნა 80
გამოყენებული ლიტერატურა 81

ხატია ხაბაშვილი, თეიმურაზ კოპაძე
Khatia Khabashvili, Teimuraz Kopadze
სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები,
ხელმძღვანელი: **ეკატერინე ქარდავა**, პროფესორი

ევროკავშირის ხელშეწყობა გორის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში

EU Support to Gori Infrastructure Development

აბსტრაქტი

ევროკავშირი საქართველოს ყოველწლიურად 350 მილიონი ლარის ოდენობის საგრანტო დახმარებით უზრუნველყოფს. მიღებული თანხები, ბუნებრივია, დარგობრივად ნაწილდება, თუმცა სტატიის თემიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ მიმართულებაზე შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტში, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ტურიზმის და თავისთავად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირის დახმარებების პროგრამების ფარგლებში, ქ. გორსა და გორის რაიონებში, არა ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რამაც, თავის მხრივ, პანდემიის მიუხედავად, ხელი შეუწყო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას.

დღეს საქართველოში, მათ შორის, გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ევროკავშირის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერება ძალიან დაბალია. შესაბამისად, სტატიის მიზანია, ოფიციალურ მონაცემებსა და უშუალოდ ავტორთა მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით, წარმოჩენილ

იქნეს ის პროექტები, რომლებიც დღემდე გორის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული კუთხით, ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა და დღემდე გრძელდება.

აღნიშნულ კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, რომლის თანახმად ევროკავშირმა გორისა და გორის რაიონების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გრანტის სახით 1 800 000 ლარი გამოყო და ამ თანხის ფარგლებში განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები როგორიცაა: ლომჭაბუკის სკვერის რეაბილიტაცია, ხელოვნების სახლის მოწყობა, სოფელ ციცაგიანთკარში წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ ქვეშში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია და ა.შ.

გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით გორის მუნიციპალიტეტისთვის შესყიდული 30 ავტობუსის პროექტი. ასევე, მნიშვნელოვანია ავტორთა მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მა პირმა. შედეგების თანახმად, მათგან მხოლოდ 4 პირი ფლობდა ინფორმაციას ევროკავშირის მიერ გორსა და გორის რაიონებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე.

შედეგად, გამოიკვეთა, რომ აუცილებელია სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების სფეროში. ვინაიდან ეს არის კვლევითი ღირებულების სტატია, რომელიც შეისწავლის და განიხილავს გორის მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ღონისძიებებს, მისი გაცნობა საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი, საკითხით დაინტერესებულ ადამიანისათვის.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, გორი, ინფრასტრუქტურა, პროექტები

Abstract

The European Union provides Georgia with 350 million GEL in annual grant assistance. The received funds are naturally distributed sectorally, but for this article, the focus will be only on infrastructure in the Shida Kartli region, specifically in the Gori municipality, which has an important role in tourism and economic development of the country. In recent years, several infrastructure projects were implemented in Gori City and Gori districts as part of EU assistance programs, which have contributed to the development of the tourism industry despite the pandemic situation.

Public awareness about infrastructure projects implemented by the European Union in Georgia, including the population of Gori Municipality, is very low today. Therefore, the article aims to present the projects/programs that have been implemented in Gori Municipality with the financial support of the European Union and are still being implemented, based on official data and a sociological survey conducted directly by authors.

One of the essential parts of the research is the public information - requested from the Gori Municipality. Received information shows that the European Union has allocated GEL 1,800,000 as a grant. This grant was intended to develop infrastructure in Gori and Gori districts. Projects: Rehabilitation of Lomchabuki square; Arrangement of an art-house; Arrangement of a water system in the village of Tsitsagiantkari; Rehabilitation of a kindergarten in the Kveshi; rehabilitation of an ethnographic museum, etc.

In addition, 30 buses purchased for Gori Municipality with the support of the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) are worth mentioning. Also, a sociological survey was conducted by the authors, in which 50 people participated. According to the results, only 4 of them had

information about the infrastructure projects implemented by the EU in Gori and Gori districts.

Accordingly, cooperation between the governmental and non-governmental sectors in the field of raising public awareness is essential. As this is the article having research value, studying and discussing the infrastructure projects and measures implemented by the European Union in Gori Municipality, it should be interesting and important for any person.

Keywords: EU, Gori, infrastructure, projects

შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ჯერ კიდევ 1992 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დაიწყო. მათ შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები განსაკუთრებით მას შემდეგ გაღრმავდა, რაც საქართველომ ევროკავშირთან დაახლოვების მიზნით სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები გაატარა. თუმცა საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი 2014 წლიდან დაიწყო, როდესაც ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირების შესახებ (AA)[1], რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების კონკრეტულ და მნიშვნელოვან მექანიზმებს. შეთანხმება, ასევე, ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ საქართველოს ფინანსურ დახმარებას, რომლის ფარგლებში ევროკავშირი საქართველოს ყოველწლიურად 350 მილიონი ლარის (120 მილიონი ევრო)

[1] იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 (ბოლოს ნანახია 04.12.2022) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

ოდენობის საგრანტო დახმარებით უზრუნველყოფს.[2] ამ პროცესში კი საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია ისეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, როგორიცაა: ევროპული საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვა დონორები, რომლებიც საკუთარი დახმარების პროგრამებით ცდილობენ საქართველოს ეკონომიკური თუ სხვა დარგობრივი სფეროების განვითარების ხელშეწყობას.[3] სწორედ ამგვარი მიდგომებით, ევროკავშირი მუდმივად განამტკიცებს მოსაზრებას, რომ საქართველო ნამდვილად არის ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების მქონე ქვეყანა, რომელიც იმსახურებს ევროკავშირში გაწევრიანებას.

საქართველოს საგარეო დახმარების 2019-2020 წლის ანგარიშების თანახმად, ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები, საქართველოს ფინანსური დახმარების კუთხით, ყველა სხვა დონორთან შედარებით, ლიდერობს.[4] მიღებული თანხები, ბუნებრივია, დარგობრივად ნაწილდება, თუმცა სტატიის თემიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ინფრასტრუქტურულ მიმართულებაზე შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ტურიზმის და თავისთავად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამ კუთხით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ერთ-ერთი ტურისტული ქალაქია გორი, რომლის ინფრასტრუქტურული განვითარება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის და, ზოგადად, საქართველოსთვის, საკმაოდ პრიორიტეტულია. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დახმარებების პროგრამების ფარგლებში გორსა

---

[2] იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები, 2017 (ბოლოს ნანახია: 10.05.2022) https://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2017-12/1513771733eapfactsheetgeorgiarelationsgeprint.pdf

[3] იხ. საქართველოს ევროპული არჩევანი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი (ბოლოს ნანახია: 10.05.2022) http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15088.pdf

[4] იხ. საქართველოს საგარეო დახმარების შესახებ 2019-2020 წლის ანგარიშები (ბოლოს ნანახია 04.12.2022) https://eaims.ge/Publications/IndexForPublications

და გორის რაიონებში არა ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა,[5] რამაც, თავის მხრივ, პანდემიის მიუხედავად, ხელი შეუწყო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას.

საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არ ფლობს სრულფასოვან ინფორმაციას ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარებების შესახებ, ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცის რა კეთდება შიდა ქართლის სოფლების, ქალაქების, რაიონების ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის თვალსაზრისით და ვინ უზრუნველყოფს პროგრესს. ამდენად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობის შედეგების გაჟღერება, გასაჯაროვება და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით, შემეცნების ზრდა.

შესაბამისად, **სტატიის მიზანია**, ოფიციალურ მონაცემებსა და უშუალოდ ავტორთა მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით წარმოჩენილი იქნეს ის პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც დღემდე გორსა და გორის რაიონებში, ინფრასტრუქტურული კუთხით, ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა და დღემდე ხორციელდება.

სტატიის ამოცანა კი მისი მიზნებიდან გამომდინარეობს, რაც გულისხმობს ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ მკითხველისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლებას.

კვლევის მეთოდოლოგიის სახით, ძირითადად, გამოყენებული იქნება სამაგიდო და სოციოლოგიური კვლევების მეთოდოლოგია. კერძოდ, სტატიაში გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი და საინფორმაციო ნაშრომების ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, აგრეთვე აღწერილია გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია და შეფასებულია, სტატიაზე მუშაობის ფარგლებში, ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები.

---

[5] იხ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილი N20-2022059324 (28.02.2022)

სტატიის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: შესავალი, სადაც ზოგადად არის განხილული საკითხის აქტუალურობა, სტატიის შექმნის მიზანი, ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა; პირველი თავისგან, რომელშიც გორის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე განხილულია, გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის კუთხით ევროკავშირის ხელშეწყობით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები; მეორე თავისგან, სადაც განხილულია სტატიაზე მუშაობის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები; სტატიის ბოლოს კი, წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებიც განხილული საკითხების ანალიზს და მის შედეგად გამოკვეთილ პრობლემათა აღმოფხვრას ემსახურება.

1. ევროკავშირის ფინანსური როლი გორის ინფრასტრუქტურის განვითარებაში

ევროკავშირი გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. შესაბამისად, იმის ნათელსაყოფად, თუ ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით 2015-2022 წლებში კონკრეტულად, რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტში, მივმართეთ გორის მერიას. ოფიციალური წერილის თანახმად,[6] 2017 წელს ევროკავშირის კონკურსის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში საგრანტო განაცხადი წარადგინა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების ცენტრმა", რის საფუძველზეც ევროკავშირმა გორის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის სახით 1 800 000 ლარი გამოყო პროექტ „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის" ფარგლებში, სადაც მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსების წილი მხოლოდ 300 000

[6] გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილი N20-2022059324 (28.02.2022)

ლარი იყო. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა გორში, მათ შორის, ლომჭაბუკის სკვერისა და იქ არსებული საგამოფენო სივრცის რეაბილიტაცია, ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ავტო პარკინგი, ველო-ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი საპირფარეშოები და სახელოსნოები.

პროექტის განხორციელების პერიოდად განისაზღვრა 2018-2020 წლები, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ Covid19 პანდემიამ საპროექტო სამუშაოები შეაფერხა, მისი განხორციელების ვადა 2022 წლამდე გაიზარდა და იგი დღემდე მიმდინარეობს. 2022 წლის დასრულებამდე უნდა განხორციელდეს გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია, აგრეთვე სამეფო ქუჩის დასაწყისში მდინარე მტკვარზე განთავსებული ხიდის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასთან დაკავშირებითაც გამოცხადებულია ტენდერი.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გრანტის მიღების შემდეგ, ადგილობრივ ბიუჯეტს ახალი პროგრამაც დაემატა, სახელწოდებით „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისთვის“. 2018-2022 წლებში აღნიშნული პროგრამისთვის ჯამურად 2 585 500 ლარია გაწერილი.[7] მათ შორის 2018 წელს ამ თანხის რაოდენობა შეადგენდა 289 000 ლარს, 2019 წელს 807 500 ლარს, 2020 წელს 693 700 ლარს, 2021 წელს 606 300 ლარს, ხოლო 2022 წლისთვის გათვალისწინებულია 189 000 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილის თანახმად, 2020 წელს განხორციელდა ქვეშის საბავშვო ბაღის ახალი ფლიგელის რეაბილიტაცია „ზრდა“-ს პროექტის, ეუთოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად. პროექტის ფარგლებში

[7] იხ. ფაქტ-მეტრის სტატია „ გორის მერიამ ევროკავშირის პროექტი დათქმულ ვადებში ვერ დაასრულა - ხარჯებს აუდიტი სწავლობს“, 2022 (ბოლოს ნანახია: 20.04.2022)
https://factcheck.ge/ka/story/40448-გორის-მერიამ-ევროკავშირის-პროექტი-დათქმულ-ვადებში-ვერ-დაასრულა-ხარჯებს-აუდიტი-სწავლობს

სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ბაღის მესამე ფლიგელს და ერთ-ერთი მოქმედი ფლიგელის დერეფანს.

გორის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ციცაგიაანთკარში ადგილობრივი მოსახლეობა გასული წლის 80-იან წლებში მოწყობილი, ამჟამად უკვე ამორტიზებული სასმელი წყლის სისტემით სარგებლობდა. შედეგად მოსახლეობის ნაწილს წყალი შეფერხებით, ნაწილს კი საერთოდ არ მიეწოდებოდა. სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით 2021 წელს მოცემულ სოფელში სასმელი წყლის სისტემა მოეწყო, რაც 144 ოჯახისთვის წყლის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს. კერძოდ, მოეწყო ჭაბურღილი, საქლორატორო, წყალსადენი, შიდა ქსელი და აღრიცხვის კვანძები. პროექტის ღირებულება 357 351 ლარს შეადგენს, საიდანაც 295 844 ლარი იტალიის სახელმწიფოს მიერ, ხოლო 61 507 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით გორის მუნიციპალიტეტისთვის შესყიდული 30 ავტობუსი, რის შესახებაც აღნიშნულია რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშში.[8]

2. სოციოლოგიური კვლევის შედეგები

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა დადგინდეს, ადგილობრივი მოსახლეობა რამდენად ფლობს ინფორმაციას გორის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში ევროკავშირის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ. შესაბამისად, გთავაზობთ სტატიაზე მუშაობის ფარგლებში მომზადებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს.

---

[8] იხ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში (ბოლოს ნანახია: 20.04.2022)
https://mrdi.gov.ge/pdf/616417068eac1.pdf/რეგიონული%20განვითარებისა%20და%20ინფრასტრუქტურის%20სამინისტრო%20_%20მთავრობის%20ანგარიში%20მოქალაქეებს%202020.pdf

2022 წლის 14 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით (1 კვირის განმავლობაში), გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-25 წლის ადამიანებში მიმდინარეობდა ანონიმური ინტერნეტ კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს ინფორმაცია ადგილობრივ დონეზე ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით ევროკავშირის მიერ გაღებული დაფინანსებების შესახებ. ძირითადი კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: *გაქვთ თუ არა ინფორმაცია, ბოლო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირის მიერ გორში, ან გორის რაიონებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, გაიხსენოთ მინიმუმ 1 პროექტი.* აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა 30-მა ადამიანმა მიიღო, საიდანაც მოცემულ კითხვას დადებითად მხოლოდ 5-მა უპასუხა, თუმცა მათგან მხოლოდ 2 ადამიანი ფლობდა ინფორმაციას კონკრეტული პროექტის შესახებ და მათ მითითება გააკეთეს მუნიციპალურ ტრანსპორტზე, ხოლო დანარჩენებს არ დაუსახელებიათ ევროკავშირის ხელშეწყობით გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტი.

გარდა ანონიმური კვლევისა, გორში ჩატარდა პირისპირ გამოკითხვა, კერძოდ, ლომჭაბუკის სკვერში და მუნიციპალურ ტრანსპორტში, რომლებიც გორში სწორედ ევროკავშირის მიერ დაფინანსდა, გამოიკითხა 20 (10-10) სხვადასხვა ასაკის (დაახლოებით 30-55 წლამდე) ადამიანი. ძირითადი კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: *გაქვთ თუ არა ინფორმაცია, სკვერი/ტრანსპორტი, რომელშიც იმყოფებით, რომელი ორგანიზაციის ფინანსური ხელშეწყობით მოეწყო? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ორგანიზაცია.* მოცემულ კითხვაზე, მუნიციპალური ტრანსპორტის შემთხვევაში მხოლოდ ორმა ახალგაზრდამ უპასუხა დადებითად და განმარტა, რომ ავტობუსის გარეკანზე ცალსახად მითითებულია „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“, რაც იმას ნიშნავს, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა გორში სწორედ ევროკავშირის ხელშეწყობით განვითარდა. რაც შეეხება ლომჭაბუკის

სკვერს, იქ მყოფთაგან არცერთი ფლობდა ინფორმაციას, თუ რომელი ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა აღნიშნული სკვერის კეთილმოწყობა.

დასკვნა

საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარებებისა, გორში ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირს გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც თავის მხრივ, ტურიზმის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასაც განაპირობებს. სწორედ აღნიშნული და სხვა ამგვარი ინფორმაციის ნაკლებობა მკვეთრად აისახება საზოგადოებრივი აზრის არასწორ ჩამოყალიბებაზე, რაც წარმოშობს უამრავ სტერეოტიპსა და წინააღმდეგობას საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება არა მხოლოდ ევროკავშირის მიერ გორსა და გორის რაიონებში განხორციელებული პროექტების შესახებ, არამედ თავად ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების თაობაზე, რადგან, როგორც კვლევამ ცხადყო, საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, რომ მაგალითად „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ ევროკავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტია. შესაბამისად მოსახლეობის ამ ნაწილს იმისი იდენტიფიცირებაც უჭირს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელზეც ცალსახად აღნიშნულია ამ კონკრეტული ბანკის დასახელება, ქართველ ხალხს, მათ შორის გორელებს სწორედ ევროკავშირმა გადასცა, რითაც ხელი შეუწყო გორში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ევროკავშირისგან მიღებულ გრანტს და მის ფარგლებში განხორ-

ციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მაგალითად ლომ-ჭაბუკის სკვერის რეაბილიტაცია, ხელოვნების სახლის მოწყობა, სოფელ ციცაგიანთკარში წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ ქვეშში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ა.შ. ვფიქრობთ, გორ-ში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას ამასთან დაკავშირე-ბითაც დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სჭირდება, რადგან კვლევიდან გამომდინარე, სკვერში დამსვენებელთა უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას, თუ ვისი ხელშეწყობით განხორ-ციელდა აღნიშნული სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტები.

რეკომენდაციის სახით უნდა ვთქვათ, რომ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიაში საჭიროა აქტიურად ჩაერთოს არა მხოლოდ სახელმწიფო არამედ არასამთავრობო სექტორი, მედია საშუალებები და ა.შ, ვინაიდან მეტი ცოდნა, მეტი შესაძლებლობისა და ახალი ხედვების საწინდარია. გორელი ხალხი კი ნამდვილად იმსახურებს ახალ შესაძლებლობებს, ხოლო საქართველო ევროკავშირში, სხვა ევროპული ქვეყნების გვერდით ღირსეული ადგილის დაკავებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართვე-ლოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959
2. საქართველოს საგარეო დახმარების შესახებ 2019-2020 წლის ანგარიშები https://eaims.ge/Publications/IndexForPublications
3. ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები, 2017 https://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2017-12/1513771733eapfactsheetgeorgiarelationsgeprint.pdf

4. ფაქტ-მეტრის სტატია „გორის მერიამ ევროკავშირის პროექტი დათქმულ ვადებში ვერ დაასრულა, ხარჯებს აუდიტი სწავლობს“, 2022
https://factcheck.ge/ka/story/40448-გორის-მერიამ-ევროკავშირის-პროექტი-დათქმულ-ვადებში-ვერ-დაასრულა-ხარჯებს-აუდიტი-სწავლობს
5. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ანგარიში, 2020
https://mrdi.gov.ge/pdf/616417068eac1.pdf/რეგიონული%20განვითარებისა%20და%20ინფრასტრუქტურის%20სამინისტრო%20_%20მთავრობის%20ანგარიში%20მოქალაქეებს%202020.pdf
6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური წერილი N20-2022059324

თამარ კვაღინიძე, ლანა მეტრეველი
Tamar Kvaghinidze, Lana Metreveli
სამართალის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ეკატერინე ქარდავა**, პროფესორი

ევროკავშირი, ტურიზმის განვითარებისთვის

EU for the Development of Turism

აბსტრაქტი

საქართველო, როგორც უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა, ოდითგანვე საინტერესო და მიმზიდველი იყო უცხო ქვეყნებისთვის, არა მხოლოდ ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო, არამედ თავისი კულტურულ-მემკვიდრეობითი ღირებულებებით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყნის იმ უნიკალური პირობებისა და მახასიათებლების წარმოჩენა, რომელიც მის ინდივიდუალიზმს უსვამს ხაზს. ამ მხრივ ტურიზმის სფერო ერთ-ერთი დიდი დასაყრდენია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან საქართველო უსაზღვროდ დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყანაა, რომელიც ტურისტების დაინტერესებას იწვევს ისტორიული თუ კულტურული ტრადიციებითა და ღირებულებებით.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა სათავეს ჯერ კიდევ 1991-1992 წლებიდან იღებს და მას შემდეგ ევროკავშირი, მასთან დაახლოვების პროცესში აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, მთელი რიგი რეფორმების განხორციელებაში. მათ შორის, ევროკავშირი ტურიზმის განვითარების მიზნით მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს ქვეყანას.

მოცემულ ნაშრომში განხილულია, თუ რაოდენ დიდია რეგიონალურ დონეზე, კერძოდ შიდა ქართლში, ქალაქ გორში, ევროკავშირის წვლილი ტურიზმის განვითარებაში. შიდა ქართლი მდიდარია კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომლებიც წლების განმავლობაში დიდ ყურადღებას იქცევენ უცხოელ ვიზიტორებში, რაც მტკიცდება ნაშრომში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებით. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა გამომდინარეობს საქართველოს ტურისტული პოტენციალიდან, რესურსებისა და ტურიზმის როლისაგან ქვეყნის მომსახურების სექტორში, ვინაიდან ტურიზმის სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა.

ნაშრომის მიზანია შიდა ქართლში, ევროკავშირისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გაღრმავებული თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროექტების ხაზგასმა, რომელიც ტურიზმის განვითარებასთან ერთად ემსახურება ინფრასტრუქტურის განვითარებას და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობას.

Abstract

Georgia, as a country of ancient civilization, has been always interesting and attractive to foreigners, not only because of its favorable strategic location, but also because of its cultural and heritage values.

For the socio-economic growth and development of the country, it is necessary to present the unique conditions and characteristics of the country, which emphasize its individualism. In this regard, the field of tourism is one of the great pillars for our country, because Georgia is a country with infinitely big tourism potential, which arouses the interest of tourists due to historical or cultural traditions and values.

Relations between Georgia and the European Union date back to 1991-1992, and since then the European Union has

actively supported Georgia in implementing a number of reforms. Among them, the European Union provides significant financial assistance to the country to develop tourism at the regional level.

This paper discusses the great contribution of the European Union for the developing of tourism at the regional level, particular in Shida Kartli, in the city of Gori. Shida Kartli is rich of cultural and historical heritage sites, which have been receiving a lot of attention from foreign visitors for years, what is confirmed by the presented statistical data in the paper. The urgency of this issue follows from Georgia's tourism potential, resources and the role of tourism in the country's service sector, as the tourism sector is considered to be one of the driving forces of the economy.

The aim of the paper is to highlight the projects implemented in Shida Kartli as a result of enhanced cooperation between the European Union and the local municipality, which, together with the development of tourism, serve the development of infrastructure and the development of human resources in the field of tourism.

შესავალი

2014 წლიდან ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ჩაანაცვლა ახალმა ინსტრუმენტმა, რომლის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ქვეყნებისთვის მეტი შესაძლებლობების მიცემა წარმატების მისაღწევად. ევროკავშირი, როგორც განსხვავებული ისტორიის, კულტურის, სამართლებრივი სისტემის, ზნე-ჩვეულებების მქონე 27 ევროპული ქვეყნის გაერთიანება, რომელსაც გააჩნია მაღალი დემოკრატიული სტანდარტები და ღირებულებები, აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოში ტურიზმის განვითარებას, რამეთუ საქართველოს გეოგრაფიული ფაქტორის

გათვალისწინებით, ტურიზმის სფერო, ერთ-ერთი საკვანძო სასიცოცხლო დარგია ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის. ევროკავშირთან დაახლოვების პროცესში მიმდინარეობს რეფორმები მთელ რიგ სფეროებში, აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესების გავლენა ტურიზმის სფეროზე და მოხდეს მათი თეორიზაცია, რათა ხელი შეეწყოს მომდევნო კვლევებს ტურიზმის დარგის ევროპიზაციის განხრით.[1]

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების შესახებ კომპეტენციებს განამტკიცებს ასოცირების შეთანხმების 373-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: „მხარეები დაეხმარებიან და განამტკიცებენ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას რეგიონული პოლიტიკის თანამშრომლობაში, რაც მოიცავს საზღვრისპირა თანამშრომლობას და შესაბამის მართვის სტრუქტურებს, გააღრმავებენ თანამშრომლობას ურთიერთხელსაყრელი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, განამტკიცებენ და განავითარებენ ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლების საშუალებებს და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა და რეგიონული ეკონომიკური და ბიზნეს კავშირების გაძლიერებას“.[2]

ნაშრომის მიზანია, შიდა ქართლში, ტურიზმის განვითარების მიზნით ევროკავშირისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გაღრმავებული თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროექტების ხაზგასმა, რომელიც ტურიზმის განვითა-

---

[1] ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმმართველობა საქართველოში. თბილისი, 2017, ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვებგვერდზე — http://nala.ge/uploaded/nala/2019-02/20190213192002281235248.pdf

[2] ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ ,საქართველოსა და მეორეს მხრივ ,ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0

რებასთან ერთად ემსახურება ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტურისტული ადგილებისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობას.

ინფორმაცია, კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლების ინფრასტურქტურის შესახებ გამოვითხოვეთ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან, რომელმაც მოგვაწოდა აღწერილობა, პროექტის შესახებ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის საპილოტე პროექტის, ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“.

1. ევროკავშირი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

1.1. კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლების რეაბილიტაციის მნიშვნელობა ტურისტის მოსაზიდად, ეკონომიკის განვითარებისთვის

ასოცირების შეთანხმების 277-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „ევროკავშირი და საქართველო ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმის პროცესს თავიანთი შესაბამისი ეკონომიკების ძირეული პრინციპების უკეთ გაცნობიერების, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის გზით“.[3] საქართველოსთვის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ძირეულ პრინციპს სწორედ ტურიზმის სფერო წარმოადგენს, რადგან იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა, რომელიც თავისი პოტენციალითა და მრავალფეროვნებით ვიზიტორებს, ქვეყნის განმეორებით მონახულების სურვილს აღუძრავს. საქართველოს რეგიონების ტურიზმის გან-

[3] ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ ,საქართველოსა და მეორეს მხრივ ,ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0

ვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული რესურსები გააჩნია, რასაც იზიარებს და აქტიურ ფინანსურ დახმარებას უცხადებს ევროკავშირის პოლიტიკა. შიდა ქართლი თვალსაჩინო მაგალითია, იმისა თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს ევროკავშირი რეგიონალურ დონეზე ქვეყნის ეკონომიკურ, ტურისტულ თუ ინფრასტრუქტურულ გაძლიერებაში.

შიდა ქართლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალის მქონე რეგიონია, რომელიც გამოირჩევა, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით და ტრადიციებით, ასევე საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ მხოლოდ გარემოს გალამაზება არ არის საკმარისი ტურისტების მოსაზიდად, რადგან ჩვენ, როგორც ვიცით, კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიასთან, კულტურასთან, ეთნოგრაფიასთან. საქართველოს ყველა რეგიონს განსხვავებული კულტურული წარსული და ისტორია გააჩნია, რაც ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა. ტურისტების უმრავლესობა, მხოლოდ ამის გასაცნობად სტუმრობს ქვეყანას[4] ამიტომ, მნიშვნელოვანია გავითავისოთ ფაქტორი, რომ ევროკავშირის უდიდესი წვლილი პროექტის განხორციელებაში, რომელზეც ჩვენ ვისაუბრებთ, არის არა მხოლოდ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებაზე ხაზგასმა, არამედ უფრო მეტად კულტრულ-მემკვიდრეობითი ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაცია, რომელიც უშუალოდ კავშირშია ვიზიტორების მოზიდვასთან.

მოცემულ ნაშრომში, საუბარია ისეთ ისტორიულ ძეგლებზე, როგორიცაა „გორისციხე“ რომელიც არის საუკუნეების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. „გორისციხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ინფრასტურქტურული სამუშაოები,

[4] “კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“ 2019 წელი. https://to.edu.ge/kulturuli-memkvidreoba-da-turizmi

რომელიც უფრო ალამაზებს მიმდებარე გარემოს და ხდის უფრო მიმზიდველს ვიზიტორებისთვის. ასევე კულტურულ-მემკვიდრეობით ღირებულებას წარმოადგენს „ლომჭაბუკი“ და შოთა რუსთაველის მემორიალი. ამ ძეგლების აღდგენა კი უდიდესი მიღწევაა შიდა ქართლის, კერძოდ კი ქ.გორისთვის, რათა მეტად დააინტერესოს ვიზიტორები.

1.2. ევროკავშირის ჩართულობა კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლების აღდგენასა და სივრცის მოწყობაში

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის ხარისხის ამაღლების მიზნით, ევროკავშირმა, საპილოტე პროექტ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, გამოყო 600 000 ერვო გრანტის სახით. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 958.836,3 ევროა, გორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება კი 358836,36 ევროს შეადგენს. გორის მუნიციპალიტეტი შეირჩა ევროკომისიის მიერ, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში. პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 59 თვეს და მისი განხორციელება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულდება. პროექტის მიზანი ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ტურიზმის სექტორში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა მხარდაჭერას მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნითა და კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის დამყარების გზით. პროექტის მნიშვნელოვანი ამოცანაა გორის მუნიციპალიტეტის უფრო მიმზიდველ ადგილად გადაქცევა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით, რათა გაიზარ-

დოს ტურისტთა რაოდენობა და ინვესტიციები ტურიზმის სექ-ტორში.[5] გაცემული გრანტის ფარგლებში, გორის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 18 მაისის მდგომარეობის უკვე განხორციელდა მთელი რიგი პროექტები-სა, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქ გორში, ტურისტული სეგ-მენტის მოზიდვას, კერძოდ:

➢ ლომჭაბუკის მონუმენტისა და სკვერის რეაბილიტაცია დასრულდა, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე, 8350 კვ/მ ფართობის „ლომჭაბუკის" სკვერისა და სკვერში მდებარე „ლომ-ჭაბუკის" ძეგლის პედესტალის სარეაბილიტაციო სამუშაოები. (ლომჭაბუკის მონუმენტი მდებარეობს ქალაქ გორის ცენტრში და წარმოადგენს ქალაქისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ის-ტორიულ-კულტურულ ღირებულებას. მას ოფიციალურად „გა-მარჯვების მემორიალსაც" უწოდებენ. აღნიშნული მონუმენტი აღმართულია გორისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე. ის არის ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედება და წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას. ლომჭაბუკის მონუ-მენტისა და სკვერის რეაბილიტაციის მოწყობა უმნიშვნელოვან-ესია ქალაქისთვის, რათა ტურისტების ინტერესი გააღრმავოს.[6])

➢ ლომჭაბუკის სკვერში არსებული შენობის (საგამოფენო სივრცე) რეაბილიტაცია (მიმდინარე პერიოდში დასრულდა, „ლომჭაბუკის" სკვერში არსებული, 230 კვ/მ ფართობის, საგამო-ფენო დარბაზის სარემონტო სამუშაოები[7]);

---

[5]გორის მუნიციპალიტეტის მერია."მერები ეკონომიკური ზრდისთვის საპილო-ტე პროექტი," „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება მდგრადი ზრდისთვის". (წერილის დანართი: 20-2022139251, 19/05/2022)

[6] იქვე გვ. 7

[7] "გამარჯვება, საქართველოს კპ გორის რაიონული და საქალაქო კომიტეტე-ბის, გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო." 1979 წლის 29 მაისი.

➢ ავტო-პარკინგის მოწყობა (ქალაქის ვიზიტორებისთვის, „ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ, 2750 კვ/მ-ის ტერიტორიაზე მოეწყო ავტოსადგომი);

➢ გორისციხის გარშემო საფეხმავლო ბილიკის მოწყობა (გორისციხის ფერდობებზე მოეწყო 583 მ. სიგრძის საფეხმავლო ბილიკი);

➢ შოთა რუსთაველის მემორიალისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია (რეაბილიტირდა გორისციხის ფერდობზე მდებარე შოთა რუსთაველის მემორიალის მონუმენტი და სკვერი, რომლის ფართობია 1200 კვ/მ);

➢ ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე სახელოსნოების მოწყობა (გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე აშენდა შენობა (203 კვ/მ) ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების სახელოსნოების მოსაწყობად. დაგეგმილია შემდეგი სივრცეების მოწყობა: 1. სამკერვალო ტრადიციული სამოსის, ფარდაგებისა და ქარგვისთვის; 2. ტრადიციული ტკბილეულის მაღაზია; 3 ალკოჰოლური სასმელების მაღაზია; 4. თონე ტრადიციული პურის დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ ვიზიტორებს ექნებათ საშუალება დაესწრონ მზადების პროცესს და თავადაც მიიღონ მონაწილეობა. პროექტი ითვალისწინებს, სახელოსნოების კერძო სექტორისთვის გადაცემას იჯარის წესით. სამწუხაროდ, რამდენჯერმე უშედეგოდ დასრულდა გამოცხადებული აუქციონი, რის შემდეგაც შემცირდა იჯარის თანხა და ამჯერად ყველაზე დაბალი ფასით მიმდინარეობს აუქციონი);

➢ სუვენირების სარეალიზაციო სივრცისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა გორისციხის მიმდებარედ (პროექტი ითვალისწინებს სუვენირებისა და ტრადიციული ნაწარმის სავაჭრო სივრცისთვის და საზოგადოებრივი საპირფარეშოებისთვის შენობის (310,3 კვ/მ) აშენებას გორისციხის ფერდობზე. მშენებლობის საწყის ეტაპზე გამოვლინდა ძველი

ნასახლარი, რის გამოც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით შეჩერდა სამუშაოები. სააგენტოსთან გამართული კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, თითქმის მიღწეულ იქნა შეთანხმება მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, თუმცა, დღეს, გარკვეული დეტალები კვლავ რჩება დასაზუსტებელი და მშენებლობა ჯერ არ განახლებულა);

➢ „ძირითადი შენობის“ მშენებლობა „ ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ, რომელიც მოიცავს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო/სამუშაო სივრცეს, ბარგის შესანახ საკნებსა და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს („ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ დასრულდა ე. წ, „ძირითადი შენობის“ (291.5 კვ/მ) მშენებლობა, რომელიც აერთიანებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო დარბაზს, სატრენინგო და სამუშაო სივრცეებს, ბარგის შესანახ ოთახსა და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს. მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს შენობის აღჭურვას ავეჯითა და ტექნიკით);

➢ ველო-ბილიკებისა და ველო-პარგინგის მოწყობა (პროექტით გათვალისწინებულია 4500 მ. სიგრძის ველო-ბილიკის მოწყობა. სამწუხაროდ, პირველად გამოცხადებული ტენდერი უშედეგოდ დამთავრდა. მომდევნო თვეების განმავლობაში, კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის დაწესებული შეზღუდვების გამო, ვეღარ გამოცხადდა ტენდერი და მხოლოდ 12 ივნისს მოხერხდა ხელახლად გამოცხადება ტენდერისა, რომელიც 10 ივლისს დასრულდება);

➢ გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება კიდევ ერთი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციე-

ლებაც, კერძოდ ქ. გორში, მდინარე მტკვარზე არსებული კულ-ტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „ძველი ხიდის“ რეაბილიტა-ცია. აღსანიშნავია, რომ პროექტი, გარდა ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოებისა, ასევე ითვალისწინებს სხვადას-ხვა აქტივობების განხორციელებას ტურიზმის სფეროში დასაქ-მებული ან/და ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული ადამიანე-ბის, მცირე მეწარმეების, სტუდენტების/ახალგაზრდების ცოდნი-სა და უნარების გასაძლიერებლად. ამ მიზნის მისაღწევად და-გეგმილი ერთ-ერთი საქმიანობაა სტუდენტთა/ახალგაზრდების სტაჟირების/პრაქტიკის პროგრამის შემუშავება, რომლის ფარგ-ლებშიც, მიმდინარე თვეს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიე-ბები:

- მომზადდა მემორანდუმის ტექსტი და სპეციალური შეთან-ხმება გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის სახელმ-წიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის. უახლოეს პერიოდში იგეგმება მემორანდუმის გაფორმების ცერემონია;
- მომზადდა სტუდენტთა/ახალგაზრდების სტაჟირების/პრა-ქტიკის პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო კონსულტანტის შესარჩევი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერი-ლობა; უახლოეს პერიოდში დაგეგმილია კონსულტანტის შე-სარჩევი კონკურსის გამოცხადება.[8]

1.3. ვიზიტორების სტატისტიკური მონაცემები

საქართველოს ტურისტული ბაზრის სტატისტიკური კვლე-ვა და ანალიზი აუცილებელი პირობაა ბაზარზე მიმდინარე ტენ-დენციების გამოკვეთის და ტურისტული პოტენციალის ათვისება გამოყენების თვალსაზრისით. საერთაშორისო შემოსვლები

[8]გორის მუნიციპალიტეტის მერია.”მერები ეკონომიკური ზრდისთვის საპილოტე პროექტი,“ „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება მდგრადი ზრდისთვის“.(წერილის დანართი :20-2022139251, 19/05/2022)

წლების მიხედვით საკმაოდ მაღალია. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოს 2016 წელს 6 350 825 ტურისტი ეწვია, რაც 2015 წელთან შედარებით 449 731-ით მეტია. [9] ტურიზმი ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებადაა აღიარებული რეგიონული განვითარების სისტემაში.[10] სწორედ ამიტომ, ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, განხორციელებული პროექტები არსებითი მნიშვნელობისაა არა მხოლოდ, ქალაქ გორისთვის, არამედ მთლიანად შიდა ქართლის რეგიონისთვის.

ქ. გორის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილების უფროსის, ბატონ რობერტ მაღლაკელიძესთან პირადი კომუნიკაციის შედეგად მოწოდებული ინფორმაციით, შიდა ქართლში, კერძოდ კი ქ.გორში ვიზიტორების შემოსვლის სტატისტიკური მონაცემების შესახებ, დადგინდა, რომ ტურისტების რაოდენობა საკმაოდ დიდია შიდა ქართლის რეგიონში.

- 2016 წელს ქ.გორს სტუმრობდა 190 551 ტურისტი;
- 2017 წელს-280 551;
- 2018-456 556;
- 2019 წელს-513 250;
- 2020 წელს- 20 077(მათ შორის უცხოელი 13 128);
- 2021 წელს -129 073 (მათ შორის 96 554 უცხოელი ტურისტი);
- 2022 წლის 1 იანვრიდან-3 მაისამდე 28 864 ვიზიტორი (მათ შორის 22 955 უცხოელი).

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ 2020 წლიდან მსოფლიოში მძვინვარებდა „კორონა ვირუსი (covid 19) “, რომელმაც საგრძნობლად შეაფერხა უცხოელ ტურისტთა შემოდინება ქვეყანაში. თუმცა მონაცემები, არსებული სტატისტიკა

---

[9]„სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018, გვ. 51,55, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf

[10] ვაჟა შუბლაძე, “ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში.“ 2014, http://geoeconomics.ge/?p=1417

კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ დადია მოცემულ რეგიონში ტურისტთა ინტერესი. სწორედ ევროკავშირმა შეიტანა უდიდესი წვლილი, რათა მომხდარიყო კულტურულ-მემკვიდრეობითი ღირებულებების გალამაზება და ხელი შეწყობოდა შიდა ქართლის რეგიონს, გამხდარიყო უფრო მეტად საინტერესო ნებისმიერი მნახველისათვის.

დასკვნა

სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურული მნიშვნელობის ზრდის მაღალი ტემპების გამო ტურიზმი მე-20 საუკუნის აღმოჩენად მიიჩნევა.[11] მოცემულ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ გამომდინარე საქართველოს ტურისტული პოტენციალისაგან, რესურსებისა და ტურიზმის როლისაგან ქვეყნის მომსახურების სექტორში, ტურიზმის სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანმიმდევრული დაახლოების პროცესი. საკანონმდებლო სფეროს რეფორმები და სხვა ცვლილებები, რაც ბოლო 25 წელზე მეტია გატარების პროცესშია, არის ეკონომიკური და დემოკრატიული ტრანზიციის ნაწილი, რომლის მიზანიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში:

„საქართველოს სუვერენული არჩევანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას“.[12]

---

[11] ვაჟა შუბლაძე.“ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში.“ 2014 წელი http://geoeconomics.ge/?p=1417

[12] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პროექტის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტმა მოიპოვა ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის მაქსიმუმი. მსგავსი დაფინანსებები კი რეგიონალური განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ინფრომაცია ეკუთვნის „ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელს ბატონ ლაშა ხმალაძეს. მან ასევე მიუთითა, რომ ევროკავშირმა, აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებაში მონაწილეობა მიიღო, რათა რეგიონში განვითარებულიყო ტურიზმის სფერო, რომელიც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. თბილისი, 2017, ხელმისაწვდომია ელექტრონულად საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვებგვერდზე - http://nala.ge/uploaded/nala/2019-02/201902131920022812352 48.pdf;
2. ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0;
3. „კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“. 2019 წელი https://to.edu.ge/kulturuli-memkvidreoba-da-turizmi
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx
5. გორის მუნიციპალიტეტის მერია. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის საპილოტე პროექტი“, „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება მდგრადი ზრდისთვის“. (წერილის დანართი: 20-2022139251, 19/05/2022)

6. ვ. შუბლაძე, ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, 2014, http://geoeconomics.ge/?p=1417
7. „გამარჯვება, საქართველოს კპ გორის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო.“ 1979 წლის 29 მაისი გამოცემა.
8. „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018, გვ. 51, 55
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf

მარიტა მამუკაშვილი
Marita Mamukashvili
საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ეკატერინე ქარდავა**, პროფესორი

განათლება და ახალგაზრდობა გორში

Education and Youth In Gori

აბსტრაქტი

„ახალგაზრდობის პერსპექტივების გაუმჯობესება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის ბირთვს წარმოადგენს“[1]. საქართველოსთან ერთად, ევროკავშირის მიზანია შეუქმნას ახალგაზრდებს სწავლის, მუშაობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულად მონაწილეობის და საკუთარი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები. ევროკავშირს ამოძრავებს სურვილი, ხელი შეუწყოს ჰუმანური და პროგრესული ფასეულობების დამკვიდრებას და უზრუნველყოს, რომ კაცობრიობამ ისარგებლოს უზარმაზარი მიმდინარე გლობალური ცვლილებებით და არ შეეწიროს მათ მსხვერპლად, გააუმჯობესონ მათი განათლების სისტემები, მეტი გააკეთონ ახალგაზრდებისთვის სამუშაოს პოვნაში დახმარების მიზნით, ხელი შეუწყონ უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნესსაწარმოებს შორის უფრო ძლიერ კავშირებს და გააგრძელონ პროგრამები.[2]

---

[1] ევროკავშირი და საქართველო: პარტნიორული ურთიერთობა ახალგაზრდობისთვის.
https://euneighbourseast.eu/ka/news-and-stories/publications/evrokavshiri-da-sakharthvelo-partnioruli-urthierthoba-akhalgazrdobisthvis/

[2] პასკალ ფონტენი-12 გაკვეთილი ევროპის შესახებ.

პროფესიული განათლების მართვისა და განათლების მენეჯმენტის ინოვაციური მიდგომების დანერგვაში, ევროკავშირი როგორც დიდი ხნის პარტნიორი უდიდეს მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს. ევროპა წარმოადგენს განათლების სფეროში მაგალითებისა და საუკეთესო პრაქტიკის ინსპირაციის წყაროს. ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა შეუფასებელია, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს სისტემის მოდერნიზებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის კავშირი 26 წელზე მეტს ითვლის. დღეს საქართველო ახორციელებს სიღრმისეული დაახლოებისა და აპროქსიმაციის პროცესს. 2014 წლიდან დაიწყო პოლიტიკური ასოცირებისა და ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები ასოცირების შეთანხმების საფუძველზე.[3] გარდა ამისა, ევროკავშირი საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორია, ეს დახმარება ძირითადად მიმართულია ეკონომიკური განვითარებისა და განათლების, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის კუთხით.

კონფერენციის ფარგლებში წარდგენილია თემა ევროკავშირის დახმარებით განხორციელებული ღონისძიებები, პროექტები და პროგრამები შიდა ქართლში, კერძოდ ქალაქ გორში. კონკრეტული სფეროა „განათლება და ახალგაზრდობა“.

---

http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1471529615_europein12lessons_2015_ka.pdf

[3] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

Abstract

Improving youth perspectives is at the core of cooperation with the EU's Eastern Partnership countries. Together with Georgia, the EU aims to create opportunities for young people to study, work, participate fully in public life and use their potential. The EU is driven by a desire to promote humane and progressive values and to ensure that persons benefit from the current global change and do not sacrifice in order to improve their education systems, do more help towards young people in order to find jobs, promote higher education and more business.

Our long-time partner, the European Union, greatly supports Georgia in introducing innovative approaches to the management of Education and practice of vocational education. Europe is a source of inspiration for experiences and best practices in education field. EU financial and technical aid is invaluable as our country always gets support to modernize its system to international standards.

The connection between the EU and Georgia has been going on for more than 26 years and today we are closer to each other than before. The European Union is Georgia's largest partner. Since 2014, the partnership is based on the Association Agreement between the EU and Georgia.

In addition, the EU is Georgia's largest donor, mainly in terms of economic development and education, good governance, human rights and the environment.

Within the framework of our conference, this paper discusses the activities, projects and programs implemented with the assistance of the European Union in Shida Kartli-Gori, in a specific area Education and Youth".

შესავალი

საქართველო არის ევროკავშირის დახმარებების მიმღები ბენეფიციარი ქვეყანა, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესს. განათლებისა და ახალგაზრდობის სფერო, ასოცირების შეთანხმებისა და ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

თემაში წარმოდგენილია შიდა ქართლის ფარგლებში, ახალგაზრდობის განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რომლის მხარდამჭერია ევროპული კავშირი.

1. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები ქალაქ გორში და ერასმუს + პროექტები გორის უნივერსიტეტში

ევროკავშირის თანამშრომლობა განათლების გასაუმჯობესებლად საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა. შეიქმნა პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა. ევროპის განათლების ფონდმა შეაფასა პროექტები, რომლის მიზანიც პროფესიული განათლების სისტემის დანერგვა და განვითარებაა საქართველოში. პროფესიული განათლების და დასაქმების მიმართულების გაძლიერება საქართველოს ვალდებულებად აქვს აღებული ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვითაც. ევროკავშირის სპეციალური პროექტები, რომლებიც საქართველოში დასაქმების ხელშეწყობაზეა ფოკუსირებული, სხვა მრავალ მიზანთან ერთად, გულისხმობს ასევე, მძლავრი პროფესიული განათლების სისტემის დანერგვას. რიგ შემთხვევებში, მოკლევადიან კურსების საშუალებით ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების გადამზადებას.[4]

[4] Netgazeti.ge - რესპოდენტი ირინა წეროძე https://netgazeti.ge/news/328123/

კონფერენციის ფარგლებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის საგანმანათლებლო პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა ქალაქ გორში ევროკავშირის დახმარების ფარგლებში. ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ევროკავშირის ღრმა და ფართო თანამშრომლობა, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს. აღსანიშნავია ერასმუს + პროგრამები, რომლებიც უხვადაა უნივერსიტეტში. ნიშანდობლივია ფაქტიც, რომ უნივერსიტეტმა პირველად 2020 წელს გაიმარჯვა ჟან მონეს აქტივობების კონკურსში, კერძო მოიპოვა მხარდაჭერა ჟან მონეს მოდული ფარგლებში „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“.

მოდულის მიზანია ევროპული სივრცის გაძლიერება რეგიონში, ევროპული ასოცირების პროცესის ხელშეწყობა გსსუ-ს სხვადასხვა პროგრამებში, კერძოდ, სამართლის, საჯარო მმართველობის, ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამებში, ახალი სასწავლო საგნის „ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია“ ინტეგრირებით. მოდულის ამოცანაა, აგრეთვე, არა მხოლოდ ევროპული სწავლების განვითარება, არამედ საკუთარი მიდგომებისა და მოდელის სხვა უნივერსიტეტებისათვის გაზიარება ამ ტიპის სწავლების მთელს საქართველოში განვრცობის მიზნით.[5]

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სხვა მრავალი პროექტი ხორციელდება, რომელიც მიმდინარეობს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში, კერძოდ:

1. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ბიდგოშჩის კაზიმირ დიდის უნივერსიტეტთან, პოლონეთი. www.ukw.edu.pl
2. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ოპოლეს ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან. http://www.po.opole.pl/

---

5 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - https://gu.edu.ge/ge/international-relations1/jean-monnet-module/about-module

3. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტსა და რომის საერთაშორისო ტელემატიკის უნივერსიტეტ-თან
(UNINETTUNO) https://www.uninettunouniversity.net/en/default.aspx
4. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტსა და ბიდგოშჩის კაზიმირ დიდის უნივერსიტეტთან, პოლონეთი, www.ukw.edu.pl
5. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტსა და პომერანიეს უნივერსიტეტთან სლუპსკში, პოლონე-თი, www.apsl.edu.pl
6. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახ. სასწ. უნივერსიტეტსა და სლუპსკში პომერანიეს უნივერსიტეტს შორის *https://www.apsl.edu.pl/*
7. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტსა და ოპოლეს ტექნოლოგიის უნივერსიტეტს (პოლო-ნეთი) *http://www.po.opole.pl/*
8. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტსა და ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტს (ბულგარეთი) შორის *https://vum.bg/*
9. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტსა და ნოვი ტარგის პროფესიული უმაღლესი სკოლას (პო-ლონეთი) შორის *http://www.ppwsz.edu.pl/*
10. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნი-ვერსიტეტსა და კაჰრანმარას სიტუ იმამ უნივერსიტეტს (თურ-ქეთი) შორის http://www.ksu.edu.tr/
11. ერასმუს+ პროგრამა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივე-რსიტეტსა და ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტს (ბულგარეთი) შორის https://vum.bg/

2. გორი განათლებისა და ტრენინგების სფეროში

გარდა, უნივერსიტეტისა, შიდა ქართლში, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა უწყვეტი განათლების პრინციპს, ტრენინგებსა და პროფესიულ განვითარებას. ხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. პროექტის დასახელება : „ახალგაზრდების განვითარება განათლების გზით“. განხორციელების პერიოდი: 03/2019-04/2020 პროექტის ღირებულება : 14160 ევრო .[6]

გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2017 წლიდან არის ევროპის მოხალისეობრივი სერვისის (EVS) აკრედიტებული ორგანიზაცია. 2018 წელს სააგენტომ შეიმუშავა აღნიშნული საპროექტო განაცხადი და იტალიურ პარტნიორებთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ERASMUS+-ის პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. წარდგენილი საპროექტო განაცხადი მოწონებულ იქნა ERASMUS+ -ის პროგრამის იტალიის ეროვნული სააგენტოს მიერ და 2019 წლის მარტიდან სტრატეგიული განვითარების სააგენტო იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია, Atelier Europeo-სთან ერთად, ახორციელებდა Erasmus+ პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტს. პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია ერთი წლის ვადით მასპინძლობდა ორ იტალიელ მოხალისეს, რომელთა მთავარი მიზანს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების სხვადასხვა საქმიანობების განხორციელების გზით, ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებას, ასევე, მათ ინფორმირებას სხვადასხვა საგანმანათლებლო, ახალგაზრდული პროექტებისა და პროგრამების შესახებ. მოხალისეები გორის მუნიციპალიტეტის სკოლებში 13 და მეტი ასაკის მქონე მოსწავლეებისთვის გორის მუნიციპალიტეტის ქალაქის და რაიონის სკოლებში მართავდნენ სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებს. სატრენინგო მოდულები შემუშავებული იყო ევროპის

[6] გორის მუნიციპალიტეტის მერია,წერილის ნომერი-20-2022119104 და პინი: 6403. გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით); ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, „კომპასიტო“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის); მშვიდობის კორპუსის პროგრამების და ტრენინგების მხარდაჭერის სათაო ოფისის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, „ახალგაზრდობის საარსებო საშუალებები: ფინანსური განათლება“; SALTOYOUTH - ის ქსელის ვებ-გვერდზე განთავსებული, სწავლების, ახალგაზრდული საქმიანობებისა და ტრენინგების სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ასევე ოფიციალურად იყო შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ საჯარო სკოლებში: ბოშური, ბერბუკი, კარალეთი, ხელთუბანი, გორის #8 და #9 სკოლა. გარდა ზემოთ აღნიშნული ტრენინგ-კურსისა, (ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო” იტალიელი მოხალისეების ჩართულობით, 13-29 წლის ასაკის გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს აძლევდა შესაძლებლობას, მიეღოთ მონაწილეობა საბაზისო იტალიური ენის 2 თვიანი უფასო კურსში, რომლის დასრულების შემდეგაც მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. მოხალისეები აქტიურად თანამშრომლობდნენ გორის მუნიციპალიტეტში არსებულ არასამთავრობო სექტორთან, იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში ადგილობრივ დონეზე.

2. პროექტის დასახელება: „დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ“. განხორციელების პერიოდი: 03/2021-03/2022 პროექტის ღირებულება : 14 124 ევრო.[7]

2020 სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია Atelier Europeo-სთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. კომისიამ დადებითად შეაფასა განაცხადი და დააფინანსა

[7] გორის მუნიციპალიტეტის მერია,წერილის ნომერი-20-2022119104 და პინი: 6403. გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

პროექტი. 2021 დასაწყისიდან სააგენტომ უმასპინძლა 9 თვის ვადით 2 იტალიელ მოხალისეს. მიმდინარე წლის 22 მაისს, მოხალისეები ჩამოვიდნენ საქართველოში და მუშაობდნენ გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის კუთხით. მათი საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის სააგენტომ გამოყო ორი თანამშრომელი, როგორც მოხალისეების პარტნიორები, რომლებიც მუშაობდნენ მოხალისეებთან და ეხმარებოდნენ მათ ყოველდღიური დავალებების შესრულებაში. პროექტის საწყის ეტაპზე, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეკომენდაციით, შეირჩა გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლა (ქ. გორი N 12 საჯარო სკოლა, სოფელ ვარიანის საჯარო სკოლა, სოფელ ზემო ნიქოზის საჯარო სკოლა), სადაც, სკოლის მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის მიზნით, მოხალისეებმა გამართეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. მსგავსი ტიპის შეხვედრა გაიმართა სოფელ მეჯვრისხევში მდებარე საჯარო ცენტრშიც. ასევე, შიდა ქართლის სამოქალაქო ფორუმის მოხალისეებთან თანამშრომლობით, გაიმართა შეხვედრა დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებთანაც. საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის-/უკუკავშირის საფუძველზე, მოხალისეებმა შეიმუშავეს შესაბამისი ტრენინგ-მოდულები სკოლის მოსწავლეებისთვის. სატრენინგო მოდულები შემუშავებულ იქნა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით); ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, „კომპასიტო“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის); ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლე-

ბების განათლების შესახებ; იუნესკოს უწყებათაშორისი სამშვიდობო განათლების პროგრამა (სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის); SALTO-YOUTH-ის ქსელის ვებგვერდზე განთავსებული, სწავლების, ახალგაზრდული საქმიანობებისა და ტრენინგების სახელმძღვანელოები. ასევე, პროექტის ფარგლებში, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო" გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს (11 წლის ასაკიდან) სთავაზობდა ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსს. კურსს უძღვებოდა სააგენტოს იტალიელი მოხალისე, ლაურა პისტარინი, რომელიც ფლობს კემბრიჯის სერტიფიკატს ინგლისური ენის უმაღლეს დონეში (Advanced English) და აქვს ინგლისური ენის სწავლების გამოცდილება იტალიის კოლეჯის სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის განმავლობაში გამოყენებული იყო ენის სწავლების არაფორმალური მეთოდები: ინტერაქტიული აქტივობები, ბეჭდური მასალები, აუდიოვიზუალური მასალები და ასე შემდეგ... გარდა ამისა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სააგენტოს იტალიელი მოხალისის, ლინა მიკოლუჩის მიერ, უნივერსიტეტის შენობაში, კვირაში ორჯერ ტარდებოდა საბაზისო იტალიური ენის შემსწავლელი უფასო კურსი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. ასევე, იტალიელმა მოხალისეებმა შეიმუშავეს და ევროპულ ორგანიზაციებთან პარტნიორობით წარადგინეს განაცხადი ERASMUS + პროგრამის ფარგლებში, მოკლევადიანი ახალგაზრდული სასწავლო გაცვლითი პროექტის განსახორციელებლად საგრანტო დაფინანსების მიღების მიზნით.

3. საზოგადოება ბილიკისა და ევროკავშირის თანამშრომლობა

შიდა ქართლში ,სამოქალაქო სექტორში დიდი აქტიურობით ხორციელდება სატრენინგო-საგანმანათლებლო საქმიანობა ევროკავშირის მხარდაჭერით. ერთერთი ასეთი ორგანიზა-

ციაა „საზოგადოება ბილიკი“, რომელიც ზრუნავს ახალგაზრდების განვითარებაზე და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე.

1. პროექტი: „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება”. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, „განათლება დასაქმებისთვის" (SKills4Jobs) პროგრამის ფარგლებში, საქართველოს გაეროს ასოციაციისა (UNAG) და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მიერ. შიდა ქართლში პროექტის პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენს „საზოგადოება ბილიკი“; 2021-2023 წლები.[8]

2. შიდა ქართლის რეგიონალური ჰაბი - პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქა რთველოს განვითარებისთვის". პროექტი ხორციელდება ევრო კავშირისა და კონრადადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. პარ ტნიორი ორგანიზაცია შიდა ქართლში „საზოგადოება ბილიკი“ 2021-2024 წლები. ჰაბი წარმოადგენს რეგიონულ პლატ-ფორმას, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების გაცვლას. კერძოდ, ჰაბი უზრუნველყოფს პროექტის აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შესაბამის რეგიონში, წარმართავს ადგილობრივ აქტორებთან (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, თვითმმართველობა, ადგილობრივი ბიზნესი, მედია, მოხალისეები, ახალგაზრდები და სხვ.) კომუნიკაციას კონსულტაციების, ქსელური მუშაობის, ადვოკატირებისა და მონიტორინგის გზით, ხელს უწყობს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების, სამოქალაქო აქტივისტების გაძლიერებას და მათი როლისა და საქმიანობის შესახებ ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში.[9]

---

[8] Lela Mindiashvili ,Organizational Development Manager.Society Biliki

[9] საზოგადოება ბილიკი-http://www.biliki.ge/index.php/ka-ge/siaxleebi-3/79-2021-10-06-04-58-50

3. "საქართველოს მოწყვლადი ახალგაზრდების ხელშეწყობა ტრენინგებისა და დასაქმების გზით გახდნენ პროდუქტიული, სრულფასოვანი მოქალაქეები" – პროექტს ახორციელებს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ევროკავშირის დაფინანსებით, რომელსაც წარმოადგენს ევროსაბჭო; პარტნიორი ორგანიზაცია შიდა ქართლში „საზოგადოება ბილიკი“ -2016-2019 წლები.[10]

4. დასაქმების ფორუმი გორში

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC-განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი) ორგანიზებით და გორში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის)“, ფარგლებში დასაქმების ფორუმი გაიმართა. ღონისძიებას სამუშაოს 320-ზე მეტი მაძიებელი დაესწრო. შიდა ქართლში არსებულმა 38-მა კომპანიამ ფორუმზე 330-ზე მეტი ვაკანსია წარადგინა. სამუშაო ადგილები კვების, წარმოების, სამშენებლო, საბანკო, სავაჭრო, და მომსახურების სფეროებს მოიცავდა. სამუშაოს რეგისტრირებულ მაძიებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ფორუმზევე შეეტანათ განაცხადები დასაქმებაზე.

ევროკავშირის პროგრამა „განათლება დასაქმებისთვის“, უკვე სამი წელია, რაც საქართველოში ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება. პროგრამა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, განათლების და ცოდნა-უნარების განვითარებას სხვადასხვა კატეგორიის, განსაკუთრებით კი, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დასაქმებისთვის ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევებით მათ უზრუნველყოფას.“[11]

---

[10] საზოგადოება ბილიკი - Lela Mindiashvili, Organizational Development Manager

[11] განათლების განვითრების და დასაქმების ცენტრი- https://edec.ge/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90/
სტატია საიტიდან-https://1tv.ge/news/gorshi-dasaqmebis-forumi-gaimarteba/

ფორუმს წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დროსაც სამუშაოს მაძიებლებს CV-ის შედგენასა თუ გასაუბრების ტექნიკის სწავლაში დაეხმარნენ და შესაბამისი კონსულტაციები გაუწიეს.

ფორუმის ორგანიზატორთა შორის იყვნენ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი), თავისი მიმდინარე პროექტის, „EU4Youth-ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის: სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED-არასამთავრობო ორგანიზაცია) მწვანე ზრდისთვის“, ფარგლებში და ევროკავშირის მიმდინარე პროექტის, „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება “, ფარგლებში მომუშავე ქართველი პარტნიორები.

დასკვნა

ამრიგად, შეუძლებელია ერთი მთლიანისადმი კუთვნილებისა და საერთო ბედ-იღბლის გაზიარების გრძნობის ხელოვნურად შექმნა. ის მხოლოდ საერთო კულტურულმა ცნობიერებამ შეიძლება წარმოშვას. სწორედ ამიტომ არის დღეს საჭირო, რომ ევროპამ კონცენტრირება მოახდინოს არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ განათლებაზე, მოქალაქეობასა და კულტურაზე. ევროკავშირი არ ადგენს, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლებისა და ზოგადად განათლების სისტემების ორგანიზება ან როგორი უნდა იყოს სასწავლო პროგრამები. ეს საკითხები სახელმწიფო ან ადგილობრივ დონეებზე წყდება. [12]

ამბობენ: „ევროკავშირი, რომ არ არსებულიყო, საჭირო იქნებოდა მისი გამოგონება“. მართლაც, ფასდაუდებელია ევროპული პროექტის ის სიკეთეები, რომელიც მისი არსებობის მანძილზე ხელშესახები გახდა როგორც წევრი სახელმწიფოების,

[12] ქართული ქეისი ევროკავშირში-ავტორი ლიკა ჭიპაშვილი, https://www.geocase.ge/ka/publications/146/qartuli-qeisi-evrokavshirshi

ისე მისი პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისთვის. [13]

განუზომელია ევროკავშირის როლი ჩვენი ქვეყნის პროფესიული განათლების განვითარებაში. ის მხარდამჭერია, რასაც ბოლო დეკადის განმავლობაში ვიღებთ, მიმართულია დარგის კომპლექსური განვითარებისაკენ, რომელშიც მოიაზრება ახალგაზრდული ფონდისა სამეწარმეო პოტენციალის გააქტიურება, მოქალაქეებზე მორგებული სერვისების განვითარება, მათი დასაქმების და თვითდასაქმების ხელშეწყობა და ჩვენ დღეს გვაქვს თანამედროვე კვალიფიკაციები, რომლებიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის ჩარჩოსთან და ამით ჩვენ მოქალაქეებს აქვთ გლობალურ ბაზარზე გასვლისა და ასპარეზობის შესაძლებლობა.

მიმდინარე წლის 9 მაისს, ევროპის დღე აღინიშნება. კიდევ ერთხელ ვიზეიმებთ და ერთმანეთს ნამდვილად ვეტყვით „ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს“. ზუსტად 72 წლის წინ, 1950 წლის 9 მაისს, რეგიონალურ თუ მსოფლიო დონეზე არსებული ომებით დასუსტებული ევროპის გაძლიერების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორის მუნიციპალიტეტის მერია - http://www.gori.gov.ge/
2. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი- https://gu.edu.ge/ge/
3. ევროკავშირი საქართველოსთვის https://eu4georgia.eu/ka/eu-and-georgia/
4. საზოგადოება ბილიკი- http://www.biliki.ge/index.php/ka-ge/
5. ჯეოქეისი - https://www.geocase.ge/ka
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო- https://mes.gov.ge/

[13] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-თამარ ქირიაშვილი,https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=11437

7. პასკალ ფონტენი,12 გაკვეთილი ევროპის შესახებ- file:///C:/Users/AD11skra/Desktop/New%20folder/europein12_lessons_ka%20(1).pdf
8. განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი- https://edec.ge/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%90/
9. https://www.mes.gov.ge/index.php?lang=geo
10. https://gu.edu.ge/ge/international-relations1/proeqtebi
11. https://gu.edu.ge/ge/international-relations1/konferenciebi

ხატია ფერსაშვილი, მარიამ ისპირიანი
Khatia Persashvili, Mariam Ispiriani
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები,
ხელმძღვანელი: **ეკატერინე ქარდავა**, პროფესორი

ევროკავშირის როლი განათლებისა და ახალგაზრდული სფეროს განვითარებაში, შიდა ქართლის რეგიონში

Role of the EU in the Development of the Education and Youth within the Shida Kartli Region

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას ღრმა ფესვები აქვს. ევროკავშირი მუდმივი მხარდამჭერია ქვეყნის სხვადასხვა სფეროების განვითარებისა.

იმ რესურსების მასშტაბების შესახებ ინფორმაცია რასაც ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია. უფრო მეტიც, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება და უნდობლობა. ცხადია ეს კვლავაც ინფორმაციის ნაკლებობით არის გამოწვეული.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს შიდა ქართლის რეგიონში განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამებისა თუ პროექტების შესახებ ინფორმაციას განათლებისა და ახალგაზრდული სფეროს გაძლიერების კუთხით და წარმოაჩენს იმ შედეგებს რა რესურსები მიეცა ახალგაზრდებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროგრამებისა და თუ აქტივობების მეშვეობით.

გარდა ამისა ნაშრომში წარმოდგენილია რესურსები სხვადასხვა პროგრამების თაობაზე, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ

შესაძლებლობა, მეტი შეიტყონ პროგრამების შესახებ და თავად გააკეთონ განაცხადი ამა თუ იმ პროგრამაზე.

Abstract

Cooperation between Georgia and the European Union has deep roots. The EU is a constant supporter of the development of various areas of the country.

Information about the scale of the resources that the EU offers to Georgia is not well enough known to a large part of the society. Moreover, some part of people are still skeptical and distrustful of the EU. Clearly this is caused by a lack of information.

This work provides information on youth programs or projects implemented in the Shida Kartli region in terms of strengthening education and the youth sector, and presents the results of the resources provided to young people through various EU-funded programs and activities.

In addition, the work presents resources for various programs, where young people will have the opportunity to learn more about the programs and apply for their preferred one.

შესავალი

თემის აქტუალობა - გრძელვადიანი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნისთვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდობა ასაკობრივი განვითარების ის მნიშვნელოვანი პერიოდია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ინტეგრირება. ამ დროის განმავლობაში ახალგაზრდები ცდილობენ, განავითარონ თავიანთი უნარები და შესაძლებლო-

ბები, რათა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება.[1] აქედან გამომდინარე სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ახალგაზრდებზე ზრუნვა, მათი განვითარება და ამ ასაკობრივი ჯგუფების სხვადასხვა შემეცნებით - საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართვა.

ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების შესაქმნელად დიდი რესურსებია საჭირო. გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ ევროკავშირი განათლების და ახალგაზრდული შესაძლებლობების გაზრდის კუთხით უდიდეს რესურსს აწვდის როგორც ქვეყანას, ასევე უშუალოდ შიდა ქართლის რეგიონს.

იმ ფონზე როდესაც საზოგადოებაში ევროკავშირის შესახებ არსებობს უამრავი მითი აუცილებელია განხორციელდეს კვლევები რომელიც ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ სიკეთეების შესახებ რასაც ევროკავშირი ახორციელებს შიდა ქართლის რეგიონში ახალგაზრდების გასაძლიერებლად და მათ მხარდასაჭერად.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შიდა ქართლის რეგიონში ევროკავშირის მიერ იმ რესურსების წარმოჩენა რასაც ევროკავშირი აწვდის ახალგაზრდებს განათლების და საკუთარი პოტენციალის რეალიზებისათვის. აღნიშნულ ნაშრომში მკაფიოდ წარმოვაჩენ, თუ რა ახალგაზრდული პროექტები განხორციელდა და ხორციელდება შიდა ქართლის რეგიონში და რა შედეგების მომტანი აღმოჩნდა ის ახალგაზრდებისთვის. შესაბამისად ნაშრომი მიმოიხილავს შიდა ქართლის რეგიონში არსებული უნივერსიტეტების, კოლეჯების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაწესებულების მიერ 2016 წლიდან დღემ-

[1] საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი - პრეამბულა - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0

დე განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებს რომლებიც ემსახურებოდა და ემსახურება ახალგაზრდებისთვის ცოდნის შეძენას, მხარდაჭერას და განვითარებას.

თეზისი შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს ინფორმაცია თუ რა შესაძლებლობებს სთავაზობს ევროკავშირი მათ განათლების მიღების სხვადასხვა მიმართულებით. აუცილებელია ნაშრომმა წარმოაჩინოს ის სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურები, სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამები რომლებიც უზრუნველყოფენ ევროკავშირის მიერ გადმოცემული შესაძლებლობების განხორციელებას სხვადასხვა პროექტისა თუ აქტივობის სახით. ამასთან, ფართო საზოგადოებისთვის გავხადოთ ცნობილი ის ინფორმაცია რაც ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტების შედეგია.

კვლევის მეთოდები - აღნიშნული ნაშრომის კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორიდან.

1. ახალგაზრდული პოლიტიკა, განათლების სახეები

არსებობს განათლების მიღების სამი სახე ესენია: ფორმალური, არაფორმალური და ფორმალურს გარე განათლება.[2] განათლების მიღების სახეები უფრო ნათელი, რომ გავხადოთ განვიხილოთ განათლების სახეები ცალ-ცალკე.

ფორმალური[3] განათლება ესაა - სტრუქტურულ საგანმანათლებლო სისტემა ზოგადი განათლებიდან უმაღლესი განათ-

[2] განათლების სახეებზე დამატებით იხილეთ - https://www.coe.int/en/web/lang-migrants/formal-non-formal-and-informal-learning?fbclid=IwAR3XsrN44yteL3UYphi8r4Wh_v58tiolWCUIY-vsCUwZtK6c5GE3qMFSXAE

[3] Formal education

ლების ჩათლით, რომელმაც შეიძლება ასევე მოიცვას პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამები.[4] სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ფორმალური განათლება ესაა განათლება, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს ახალგაზრდას და სახელმწიფოსგანაა აღიარებული და ემსახურება ახალგაზრდისთვის აკადემიური კრედიტების შეძენას.

არაფორმალური[5] განათლება ესაა - ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელიც, არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარ - ჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას. არაფორმალურ პროფესიულ განათლებად ითვლება საგანმანათლებლო დაწესებულებისგან დამოუკიდებლად მიღებული პროფესიული განათლება.[6] არაფორმალური განათლების მიმწოდებლები ახალგაზრდებში, ძირითადად არასამთავრობო სექტორია, რომლებიც თავისი პროექტებით ახალგაზრდებს სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს სთავაზობს.

ფორმალურს გარე განათლება[7] - ესაა ახალგაზრდის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი სპეციალურად გაწეული ძალისხმევის გარეშე, დაუგეგმავად ითვისებს დამოკიდებულებებს, ფასეულობებს, იძენს უნარებსა და ცოდნას საკუთარი გარემოცვის გავლენით და ყოველდღიური გამოცდილების მეშვეობით.[8] უკანასკნელი ძლიერ გავლენას ახდენს იმაზე თუ როგორ გარემოში იზრდება ახალგაზრდა და საიდან იღებს ის ყოველდღიურ ინფორმაციას, როგორ უვითარდება მას ღირებულებები და აზროვნება.

---

[4] განმარტება ამოღებულია საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტიდან

[5] Non – formal education

[6] განმარტება ამოღებულია საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტიდან

[7] Informal education

[8] განმარტება ამოღებულია საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტიდან

ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში და აღნიშ-ნული განათლების სამივე სახეობაში დიდ როლს თამაშობს ევროკავშირი. ევროკავშირი უმსხვილესი დონორია საქართვე-ლოს უნივერსიტეტებისთვის და საქართველოში არსებული სხვადასხვა არასამთავრობო სექტორისთვის. ევროკავშირის დახმარებით უნივერსიტეტებში განხორციელებულა უამრავი სასწავლო რეფორმა, და მობილობის პროგრამები. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, ევროკავშირი უდიდეს თანხებს დებს, რომ აღნიშნულმა სექტორმა მოახდინოს ახალგაზრდე-ბისთვის სხვადასხვა შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძი-ებების ორგანიზება, რომელიც ახალგაზრდას სრულფასოვან განვითარებაში და დასაქმებაში ეხმარება.

საქართველო ევროკავშირს შორის 20014 წელს დაიდო და ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას. ასოცირების შესახებ შეთანხმების VI კარის[9] (თანამშრომლობის სხვა სფერო-ები) მე-16 თავი განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა ითვა-ლისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშ-რომლობას ახალგაზრდობის სფეროში.[10]

გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმება მოიცავს თითქმის ყველა სფეროში რეფორმების გატარებას.[11] აღნიშნული ხელშეკრულება სრულად ძალაში შევიდა 2016 წელის 1-ელ ივლისს.

2030 მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მე-4 მიზნის შესაბამისად, ევროკავშირი მოწოდებულია „უზრუნველყოს ინკ-ლუზიური და ხარისხიანი განათლება ყველასათვის და ხელი შეუწყოს განათლების მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებას“.

---

9 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 - ასოცირების შეთანხმება

10 https://osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_axalgazrdoba_Cor_(2).pdf

11 ევროპული კავშირი საქართველოს ეხმარება არანაკლებ 350 მილიონი ლარით, რაც მიემართება სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, განათლებისა და კულტურის მხარდაჭერისკენ. გ. ჭელიძე, ე. ქარდავა, ზ. ბრეგვაძე, „ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში“, თბილისი, 2020, გვ. 45

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში განათლებას პირდაპირი შენატანებით სახელმწიფო ბიუჯეტში და კონკრეტული პროექტების ფინანსირებით.

დამატებით, საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირში არსებობს მთელი რიგი სწავლის და მობილობის შესაძლებლობები. ისინი შექმნილია იმისთვის, რომ გაამარტივონ ევროკავშირთან, მის პოლიტიკებზე და სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა, ასევე ხელი შეუწყოს ურთიერთ კულტურულ გაგებას ქვეყნებს შორის მობილობის მხარდაჭერით.[12]

საქართველოში ხორციელდება ევროკავშირის საგრანტო პროგრამა Erasmus+[13] , რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით.[14]

Erasmus+ Credit Mobility პროგრამამ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მისცა ესწავლათ ევროპის უნივერსიტეტებში.[15]

---

[12] დამატებით იხ. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_ka/49071/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98?fbclid=IwAR1baht4MF8ReB-bqrvST3e-KHyR762rvW1zHPbs6f4Sx3gvsz2kFgaY8R8

[13] Erasmus+ Credit Mobility პროგრამაში მონაწილე ქართული უნივერსიტეტების და მათი ევროპელი პარტნიორების მუდმივად განახლებადი სტატისტიკის ამჟამინდელი მონაცემებით, პროგრამაში მონაწილე 131 ქვეყანას შორის საქართველო პირველ ათეულშია და მერვე ადგილს იკავებს.

[14] 2014-2020 წლებში შვიდ წლიანი პროგრამის ბიუჯეტი 14.7 მილიარდი ევროთი განისაზღვრება და მიმდინარე და არსებულ ბიუჯეტთან შედარებით 40%–იან ზრდას გულისხმობს, რაც თავისთავად ასახავს ევროკავშირის მხრიდან მეტი ფინანსების ინვესტირების სურვილს განათლების სფეროში.

[15] https://www.mythdetector.ge/ka/myth/geworld-i-amtkitsebs-titkos-asotsirebis-khelshekrulebam-sakartvelos-mkholod?fbclid=IwAR3Fu7srDZE9PdzUbERjts96bEWUNn5oHlfUXtvTvhyoDMAOrXKFyb2TJfc

2. ასოცირების ხელშეკრულების VI კარის მე-16 თავის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, - ასოცირების ხელშეკრულების მე-16 თავი განათლების სფეროში თანამშრომლობის საკითხებს ეძღვნება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის განათლებისა და ტრენინგების სფეროში თანამშრომლობა განათლების ყველა საფეხურსა და აკადემიურ სფეროებს მოიცავს. პრიორიტეტულად მიიჩნევა გაცვლითი პროგრამები.[16]

აღნიშნულ თავში ნათქვამია შემდეგი - მხარეები ითანამშრომლებენ განათლებისა და ტრენინგის სფეროში, რათა გააქტიურონ თანამშრომლობა და დიალოგი, მათ შორის, დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოებას. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, წაახალისონ განათლებისა და ტრენინგის სფეროში თანამშრომლობა და გამჭვირვალობა ყველა დონეზე უმაღლეს განათლებაზე განსაკუთრებული აქცენტით.[17]

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ევროკავშირი მზად არის გამოყოს სახსრები, რათა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, პროფესორ მასწავლებლებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ევროპული განათლება და პროფესიულ საკითხებზე მათი გადამზადება სხვადასხვა სახის პროგრამებში საქართველოს ჩართვით.

„განათლება ტრენინგი და ახალგაზრდობა“ - ამ თავში საქართველო და ევროკავშირი თანხმდებიან შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:[18]

---

[16] https://www.mythdetector.ge/ka/myth/geworld-i-amtkitsebs-titkos-asotsirebis-khelshekrulebam-sakartvelos-mkholod?fbclid=IwAR3Fu7srDZE9PdzUbERjts96bEWUNn5oHlfUXtvTvhyoDMAOrXKFyb2TJfc

[17] ასოცირების შეთანხმება - კარი VI, თავი 16 - ე, მუხლი 359

[18] ასოცირების შეთანხმება - კარი VI, თავი 16 - ე, მუხლი 360

- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რომელიც წარმოადგენს ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის უმთავრეს ასპექტს და რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- განათლებისა და ტრენინგის სისტემების მოდერნიზება ხარისხის გაუმჯობესება განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - ადრეულ ასაკში განათლებისა და მზრუნველობიდან დაწყებული უმაღლესი განათლების ჩათვლით;
- უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება იმ საშუალებით, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგისა და ბოლონიის პროცესთან (Modernization Agenda for Higher Education);
- უცხო ენების სწავლების ხელშეწყობა;
- კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობა და ამ მხრივ ტრანსფარენტულობის უზრუნველყოფა;
- პროფესიული განათლების და ტრენინგის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე ევროკავშირი - აღმოსავლეთის პარტნიორობის ურთიერთობებზე აკადემიური დიალოგის შესახებ ცოდნისა და განათლების ამაღლება და ევროკავშირის შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ შეთანხმებების მიზანს წარმოადგენს შემდეგი[19]:

- ხელი შეუწყონ თანამშრომლობასა და გაცვლითი პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ასევე ახალგაზრდა დასაქმებულთა არაფორმალური განათლების სფეროში;

[19] ასოცირების შეთანხმება - კარი VI, თავი 16 - ე, მუხლი 361

- ხელი შეუწყონ ახალგაზრდების მობილურობის გაზრდას, კერძოდ, კულტურათაშორისი დიალოგის ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ცოდნის გამოცდილებისა და კომპეტენციის მიღების ხელშეწყობის მექანიზმს;
- ხელი შეუწყონ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას;

შეთანხმებით, ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებასა და მათთვის ცოდნის გაღრმავებას.

აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა Erasmus Mundus-ის უნივერსიტეტთა შორისი გაცვლითი პროგრამებში.

3. ევროკავშირის როლი ფორმალურ განათლებაში, შიდა ქართლის რეგიონში

3.1. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული რეფორმები და პროექტები შიდა ქართლის სკოლებში

კასპის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან,[20] მიმდინარე წლის 14 ივლისს გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, გვეცნობა, რომ 2018 - 2019 წლებში სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა მონაწილეობას იღებდა „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული წინსვლის პროექტში“. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდა 48 მოსწავლე. მონაწილეები დაეუფლნენ მზარეულის, კონდიტერის და ფლორისტის პროფესიებს.

[20] გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად გამოგზავნილი დოკუმენტის ნომერი N708260

2016 წლის 10 მაისს კასპის მუნიციპალიტეტში, აგარის სკოლაში, დაიწყო პროექტის „პროფესიული უნარები EU" განხორციელება. პროექტი ითვალისწინებდა პროფესიული განათლებისა და გადამზადების ხელშეწყობას, პროფესიულ განათლებაში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვას და დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას.[21]

ქარელის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად,[22] - 2016 წლის 6 აპრილს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს „აგარის შაქრის კომპანიას", სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლასა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში. პროექტის მიზანია დაბა აგარის საჯარო სკოლაში, კერძო და საჯარო პარტნიორობის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. პროექტის ფარგლებში დაიწყო დაბალი ძაბვის ელექტროობის და ზეინკალ-სანტექნიკოსის პროგრამებზე სწავლების და გადამზადების განხორციელება, ასევე შემდეგ ორ პროგრამაზე: შემდუღებელი და სურსათის კონტროლის ლაბორატორიის ასისტენტი;

პროექტის ფარგლებში გადამზადდა 20 მდე ახალგაზრდა. პროცესი გრძელდებოდა 5 თვის განმავლობაში. სკოლის ტერიტორიაზე განთავსდა სასწავლო სახელოსნოები, რომლებიც ასევე ნაწილობრივ აღიჭურვა სათანადო აპარატურით ელექტრიკოსისა და ზეინკალ-სანტექნიკოსის აღჭურვილობით. (აღჭურვა ნაწილობრივ დაფინანსდა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ). ასევე განხორციელდა სკოლის ტერიტორიაზე არსებული სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვა შესაბამისი აპარატურით, მოეწყო და აღიჭურვა ექიმის კაბინეტი, აღიჭურვა კო-

[21] გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად გამოგზავნილი დოკუმენტის ნომერი N708260

[22] 12.07.2021 ელექტრონული ფოსტით მიღებული საჯარო ინფორმაცია ქარელის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან

მპიუტერული ტექნიკით. აღნიშნულ გარემოში დღემდე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ შესაბამის პროფესიებს. [23] 2017 წლის შემდეგ დღემდე ორივე პროგრამაზე (შემდუღებელი და სურსათის კონტროლის ლაბორატორიის ასისტენტი) სწავლება გრძელდება, მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რომელსაც ატარებს სამინისტროს საგამოცდო ცენტრი.[24] ხსენებული პროექტები ხელის შემწყობი ფაქტორია არაფორმალური განათლების წინა პლანზე წამოწევისთვის.

მსგავსი პროექტები პროფესიული მიმართულებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ უმაღლესი განათლების დიპლომი ყველას უნდა ჰქონდეს. აუცილებლად უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ, რომ პროფესიული განათლება ფუნდამენტური წინაპირობაა ქვეყნის განვითარებისათვის, დასაქმების ხელშეწყობისათვის, ეკონომიკის განვითარებისათვის, მითუმეტეს მისასალმებელია მსგავსი პროექტები საშუალო განათლების საფეხურზე, ეს შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს იპოვონ და დაიმკვიდრონ საკუთარი თავი შრომის ბაზარზე და საზოგადოებაში, აღიქვან და გააცნობიერონ, როგორ შეიძლება გახდნენ წარმატებულები. გარდა ამისა ეს არის შანსი, ახალგაზრდას ჰქონდეს ინტერესის სფერო, დაეუფლოს სხვა პროფესიას და გარდა უმაღლესი განათლებისა სხვა გზითაც მოახერხოს საკუთარი თავის სოციალიზაცია.

ევროკავშირი მუდმივად ცდილობდა და ცდილობს სწორი გზის და მიმართულების მოცემას, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული თითოეული პროექტი მაგალათი იმისა, თუ როგორ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი. შესაბამისად, სასი-

[23] პროექტი გაგრძელდა 2017 წლის ოქტომბრამდე, პროექტის განხორციელების ფინანსები ერთი წლის განმავლობაში შეადგენდა 78703 ლარს.

[24] კურსდამთავრებულთა დასაქმება ხდება როგორც კერძო ასევე საჯარო სამსახურებში, გარდა ამისა კურსდამთავრებულები საქმდებიან ინდივიდუალურად ან ეწევიან კერძო პრაქტიკას;

ცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების განვითარების კუთხით განხორციელებული პროექტები ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა.

3.2. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული რეფორმები და პროექტები შიდა ქართლში არსებულ უნივერსიტეტებში

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური კურსი - ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოება, რომელიც განხორციელდა ჟან მონეს პროგრამის ფარგლებში[25] ევროკავშირის უშუალო მხარდაჭერითა და დაფინანსებით 2020 წლის 6 ივლისს მნიშვნელოვანი მემორანდუმი გაფორმდა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ ფარგლებში სტუდენტების პრაქტიკა/სტაჟირებას ახალი საინფორმაციო ცენტრის ბაზაზე. გორის მერია უზრუნველყოფს სტაჟირება/პრაქტიკის მომზადებას გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჭიროებების მიხედვით, გორის უნივერსიტეტი კი თავის მხრივ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას და უზრუნველყოფს დაინტერესებული სტუდენტების დროულად ჩართვას აღნიშნულ პროგრამაში.[26]

---

[25] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://erasmusplus.org.ge/ka/projects/from-2014?fbclid=IwAR3JZsGC4XYfHZJR55G6Q7pWJor8kFtdxoqXjnyAzN70FYXOv_ct-F606j4

[26] პროექტისათვის ევროკავშირმა გამოყო 1 800 000 ლარის ოდენობით გრანტი გორის მუნიციპალიტეტისათვის. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი არის 2 087 991 ლარი, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებაა 287 991 ლარი.

3.3 მობილობის პროგრამები

ევროკავშირის მობილობის პროგრამებში შიდა ქართლის რეგიონიდან აქტიურად მონაწილეობს:

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის აკადემია.

4. ევროკავშირის როლი არაფორმალურ განათლებაში შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისთვის

ახალგაზრდული ორგანიზაციები უდიდეს როლს თამაშობენ ახალგაზრდების გაძლიერებისა და გააქტიურების კუთხით. ისინი ქმნიან სხვადასხვა პროექტებს ახალგაზრდების სხვადასხვა მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კუთხით. შესაბამისად, ამ კუთხით ევროკავშირმა უდიდესი რესურსი ჩადო ამ სფეროს განსავითარებლად საქართველოში რათა მათ განეხორციელებინათ ისეთი პროექტები რომლებიც გაზრდიდა ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდებს და მოახდენდა მათ განვითარებას სხვადასხვა კუთხით. ახალგაზრდებისთვის განხორციელებული პროექტები ბოლო წლებში შიდა ქართლის რეგიონში შემდეგია:

2017 წლის 16 იანვრიდან 2021 წლის 31 იანვრის პერიოდში განხორციელდა პროექტი „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ინიციატივა“ (Georgian Civil Society Sustainability Initiative); პროექტის ძირითადი სამიზნე ჯგუფი იყვნენ ახალგაზრდები რეგიონებიდან.[27] პროექტის ერთ - ერთ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში და მათი ინფორმირებულობის გაზრდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა 110 ზე მეტი აქტივობა.

[27] აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის ევროკავშირის მიერ გამოიყო 3 840 000 ევრო.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ქვე პროექტები:

- პროექტი „გორის სათემო რადიო მოზაიკა“;
- პროექტი საუნივერსიტეტო კურსი „სამოქალაქო საზოგადოების როლი“;
- პროექტი „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ინიციატივა“;

პროექტის ძირითადი მიზანი იყო საზოგადოებაში სწორი აღქმის ჩამოყალიბება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ და თავის მხრივ ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში.

უნდა გამოვყოთ ასევე საქართველოს 5 რეგიონში მიმდინარე პროექტი[28] **„უნარები წარმატებისათვის“** (Skills for Success)[29]; ამ პროექტის ფარგლებში შიდაქართლის რეგიონიდან ჩართულია კასპისა და გორის მუნიციპალიტეტები. პროექტის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ NEET ახალგაზრდები (NEET - Not in Education, Employment, or Training -ახალგაზრდები რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არც რაიმე ტიპის ტრენინგს გადიან)[30] პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარჩვევებით აღჭურვა, მათთვის დასაქმების პერსპექტივის შექმნა, სოციალურ ჩართულობის გაზრდა, და მეწარმეობის უნარების განვითარება. ასევე, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა.[31]

---

[28] გახორციელების პერიოდი 2020 – 2023 წ.წ.

[29] https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1398 - იხ. პროექტის შესახებ მეტი ინფო

[30] NEET ახალგაზრდების შესახებ იხ. https://data.oecd.org/youthinac/youth-not-in-employment-education-or-training-neet.htm

[31] შესაბამისად აღნიშნული პროექტისთვის შეირჩნენ და გადამზადდნენ ახლაგაზრდული მუშაკები რომელებიც სამომავლოდ მხარს დაუჭერენ ახალგაზრდების გაძლიერებას. პროექტი ხორციელდება 2020 – 2023 წლებში.

მიმდინარე პროექტია ასევე, ადგილობრივი ინვესტიციები ქსელში ცოდნისთვის ცოდნისა და უნარების გაზიარების პროექტში (LINKS project - Local Investments in Networks for Knowledge for Knowledge and Skill-share Project).[32] პროექტი შექმნილია დასაქმების გაუმჯობესების მიზნით და იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს უნარების გაუმჯობესებას, განვითარებას და შესაბამისობას. მნიშვნელოვანი მოსალოდნელი შედეგი პროექტიდან გამომდინარე, არის ის რომ პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კარიერულ განვითარებას.

ევროკავშირი მუდმივად ახორციელებს ახალგაზრდებისათვის ისეთ პროექტებს რომლებიც მიმართულია მათი გადამზადებისაკენ და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისაკენ. აღნიშნული კი გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არის უამრავი ახალგაზრდა, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, მაგრამ მათი უნარები არ შეესაბამება ამა თუ იმ პოზიციას.[33]

შიდა ქართლში რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ Erasmus + პროექტებში. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს ახალგაზრდების ჩართულობას 5-21 დღემდე საგანმანათლებლო ტრენინგებში, რომელიც მიმართულია სხვადასხვა თემებისკენ და ხელს უწყობს ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებას.

---

[32] პროექტისათვის გამოყოფილია 1 000 000 ევრო. პროექტი დაიწყო 2020 წელს და დასრულდება 2023 ში.

[33] მაგალითისთვის, აქვს ახალგაზრდას იურისტის დიპლომი, დამთავრებული აქვს შესაბამისი ფაკულტეტი, მაგრამ, არ აქვს დოკუმენტებთან მუშაობის პრაქტიკული უნარები.

4.1. ევროკავშირის როლი და მნიშვნელობა ფორმალურს გარე განათლებაში, შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ზემოთ ხსენებულ განათლების სახეზე რომელიც არის - ფორმალურს გარე განათლება - აღნიშნულზე საუბრისას გვსურს წარმოვაჩინოთ ევროკავშირის როლი.

ფორმალურს გარე განათლება გულისხმობს თვით განათლების მიღებას, რომელიც ხდება დამოუკიდებლად და, შესაძლოა ასეც ვთქვათ რომ აღნიშნული გულისხმობს პიროვნების შინაგანი ხედვის ჩამოყალიბებას სამყაროს მიმართ, ადამიანის უფლებების მიმართ და ა.შ. ევროკავშირს ამ მხრივ დიდი როლი ეკისრება რადგანაც, იგი ფართო არეალს უხსნის ახალგაზრდობას, რომ წავიდნენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ეზიარონ იქაურ კულტურას, გაიგონ ამა თუ იმ ქვეყნის ღირებულებები, ცხოვრების წესი და ა.შ. ამასთან, აღნიშნულმა განათლების სახემ შესაძლოა დიდი როლი იქონიოს ქსენოფობიის დონის შემცირებაში, ევროკავშირის დემოკრატიულ ქვეყნებში მოგზაურობის გზით. ერთ ერთი ასეთი მოხალისეობრივი პროგრამა ახალგაზრდას სწორედ ამ კუთხით განვითარებაში ეხმარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა Europass - პროგრამებში რომელიც მოიაზრებს არაფორმალური კუთხით ახალგაზრდებისთვის ევროპულ სახელმწიფოებში გამგზავრებას და მათთვის ცოდნის გადაცემის უზრუნველყოფას არაფორმალური გზით. აღნიშნულს წარმოადგენს Erasmus+ და ESC (Europian Solidarity Corpys)[34] - პროგრამები.

ESC პროგრამ[35], რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების ჩართვას მოხალისეობრივ საქმიანობაში საერთაშორისო დო-

[34] პროგრამის ძველი სახელწოდება 2020 წლამდე EVS - Enternational volunteer service

[35] პროგრამის შესახებ იხილეთ პორტალი

ნეზე. აღნიშნული პროგრამა ასევე უზრუნველყოფს ახალგაზრდული ორგანიზაციების თანამშრომლობას. ეს პროგრამა სრულად ფარავს ახალგაზრდის კვების, საცხოვრებელი ფართის, მგზავრობის, დაზღვევის და სხვა საჭირო ხარჯებს. შიდა ქართლის რეგიონიდან აღნიშნულ პროგრამაში გამგზავნი ორგანიზაციები არიან: მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“, „შიდა ქართლის სამოქალაქო ფორუმი“, „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო“, „საზოგადოება ბილიკი“.[36]

დასკვნა

ზემოთ განხილული პროექტებიდან აშკარად იკვეთება ევროკავშირის როლი ახალგაზრდობისა და განათლების განვითარების კუთხით. თანხა რომელსაც ევროკავშირი ამ სფეროს განსავითარებლად აწვდის საქართველოს საკმაოდ შთამბეჭდავია. აღნიშნული სფეროს და არა მხოლოდ ამ სფეროს განვითარება აქტიურ რეჟიმში გადავიდა ასოცირების ხელშეკრულების დადებიდან[37].

აღნიშნული კვლევა საინტერესო იქნება იმ მკვლევრებისთვის რომლებიც მონიტორინგს უწევენ ასოცირების ხელშეკრულების შესრულებას შიდა ქართლის რეგიონში, ამ კუთხით, განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმები რომლებიც ახალგაზრდების განვითარებას უწყობს ხელს დიდწილად არის წარმოდგენილი.

---

https://europa.eu/youth/solidarity/young-people/volunteering_en?fbclid=IwAR0RwJpYJPvnfdw5dwQ18NXyYHUDI8XFXNof0Kk4fUgm9HLJFtnZ5KdwoGU

[36] გამგზავნი ორგანიზაციების სია და მატი საკონტაქტო ინფორმაცია იხ. პორტალი https://europa.eu/youth/volunteering/organisations_en?country=GE&topic=&scope%5Bql%5D=&town=&name=&combine=&inclusion_topic=&field_eyp_vp_feweropp_additional_mentoring_1=&field_eyp_vp_feweropp_additional_physical_environment_1=&field_eyp_vp_feweropp_additional_other_support_1=&field_eyp_vp_feweropp_other_support_text=&&op=Apply%20Filter&page=1

[37] ასოცირების ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლის დრო იხ. ასოცირების ხელშეკრულება https://www.asocireba.ge/show_article.php?id=30

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, 2015.
2. ასოცირების შეთანხმება
3. გ. ჭელიძე, ე. ქარდავა, ზ. ბრეგვაძე, „ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში“, თბილისი, 2020.

გამოთხოვილი ინფორმაციები:

1. გორის, კასპის, ქარელის ხაშურის მუნიციპალიტეტები;
2. გორის, კასპის, ქარელის ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
3. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“.

ელექტრონული წყაროები:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმდა - 01. 05 .2022)
2. https://www.coe.int/en/web/lang-migrants/formal-non-formal-and-informal-learning?fbclid=IwAR3XsrN44yteL3UYphi8r4Wh_v58tiolWCUlY-vsCUwZtK6c5GE3qMFSXAE (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
4. https://osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_axalgazrdoba_Cor_(2).pdf (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
5. https://www.eeas.europa.eu/node/49071 (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
6. https://mythdetector.ge/ka/geworld-i-amtkitsebs-thithqos-asotsirebis-khelshekrulebam-saqarthvelos-mkholod-vizaliberalizatsiis-sargebeli-moutana/ (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
7. https://erasmusplus.org.ge/ka/projects/from-2014?fbclid=IwAR3JZsGC4XYfHZJR55G6Q7pWJor8kFtdxoqXjny

AzN70FYXOv_ct-F606j4 (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
8. https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=1398 (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
9. https://data.oecd.org/youthinac/youth-not-in-employment-education-or-training-neet.htm (უკანასკნელად გადამოწმდა 01. 05. 2022)
10. https://europa.eu/youth/go-abroad/volunteering/opportunities_en?fbclid=IwAR0uKrw2FdvuGkOCuw0e25hBPeQEBAWBSbygLrXFJZq8cElgmvyACTEyMjY

თამარ ჩიტიშვილი
Tamar Chitishvili
ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი**, მოწვეული
სპეციალისტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ევროკავშირის როლი შიდა ქართლში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში (გორისა და გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

The role of the European Union in the development of social entrepreneurship in Shida Kartli (on the example of Gori and Gori municipality)

აბსტრაქტი

გარემოს დაცვა, ნარჩენების ნეგატიური ზეგავლენა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ასევე, გარემოზე, მწვანე ეკონომიკის დანიშნულება და სოციალური მეწარმეობის განვითარება - საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში პრიორიტეტული მიმართულებაა. ნაშრომში წარმოდგენილია პრობლემის არსი, სოციალური მეწარმეობის სასიკეთო როლი საზოგადოების განვითარებაზე და ევროკავშირის დახმარებებით შიდა ქართლში ამ სფეროში განხორციელებული ღონისძიებები და ქმედებანი.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, გორი, სოციალური მეწარმეობა, მწვანე ეკონომიკა, გარემოს დაცვა.

Abstract

Environmental protection, the negative impact of waste on human life and health, also on the environment, the purpose of the green economy and the importance of the development of social entrepreneurship - are priority directions in the relations between Georgia and the European Union. The paper presents the essence of the problem, the beneficial role of social entrepreneurship on the development of society and the measures and actions implemented in this field in Shida Kartli with the support of the European Union.

Keywords: European Union, Gori, Social entrepreneurship, Green economy, Environmental protection.

შესავალი

გარემოსდაცვითი საკითხები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილია. გარემოსდაცვით ასპექტებზე ზრუნვის ვალდებულება, რა თქმა უნდა, განპირობებულია ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვით; ბ) ეკოსისტემის შენარჩუნებით. თანამედროვე ეპოქაში გარემოს დაცვა და მასზე მონიტორინგი განსაკუთრებით წამოწეულია ბიზნესის კეთებისა და წარმოების პროცესში. აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი, ინოვაციები, ახალი და მეტი ბიზნესი, გამარტივებული ცხოვრება, გაძლიერებული კომფორტი, ადამიანის კეთილდღეობისთვის შექმნილი მექანიზმები (გათბობა, ელექტროენერგია, წყლით ინდივიდუალური უზრუნველყოფა, მზა საკვები, სამედიცინო პრეპარატები და სხვ.), ყველაფერი გარემოზე ზემოქმედების შედეგითაა

მიღწეული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ევროპული სტილის პროგრესი და სტანდარტია, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მისი ბალანსირება როგორც ადამიანის, ასევე, საწარმოო ინტერესების გათვალისწინებით.

ქვემოთ აღწერილია გარემოსდაცვითი პრობლემები და შიდა ქართლში, კერძოდ გორსა და გორის მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები სოციალური მეწარმეობის სფეროში.

1. ნარჩენები და მათი ზეგავლენის მასშტაბი

დღეისათვის გარემოს დაბინძურება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს, რადგან გარემოში სხვადასხვა დამაბინძურებლის რაოდენობის ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, ასევე ეკოსისტემებში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებზე.[1] ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები და ავტომანქანები უამრავ ნარჩენ აირს, ჭვარტლსა და მტვერს გამოყოფს ჰაერში. ჰაერში ნარჩენი აირების დაგროვება მჟავურ წვიმებს იწვევს, რომლებიც ხეებს, ტბებს, მდინარეებსა და შენობებსაც კი აზიანებს.[2]

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურებას მთელი მსოფლიოსთვის წელიწადში 225 მილიარდი დოლარის ზარალი მოაქვს. თუ სიკვდილიანობით გამოწვეულ ზარალს ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებულ ზიანსაც დავუმატებთ, საერთო ზარალი ერთ ტრილიონ დოლარს მიაღწევს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მომზადებული კვლევის მიხედვით, 2060 წლის-

[1]http://www.eiec.gov.ge/თემები/Air/Documents/Publication/ჰაერი-(1).aspx
[2]https://ka.wikipedia.org/wiki/გარემოს_დაბინძურება

თვის მსოფლიოს დაბინძურებული ჰაერიდან მიღებული შედეგების გამო ყოველწლიურად $2.6 ტრილიონის დახარჯვა მოუწევს. [3]

ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია:

▪ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი;

▪ მრეწველობა (მეტალურგიული კომბინატები, ქიმიური მრეწველობის ობიექტები, ცემენტის ქარხნები და სხვ.);

▪ სოფლის მეურნეობა (შხამ-ქიმიკატების მოხმარება);

▪ გადამამუშავებელი მრეწველობა (მყარი ნარჩენების გადამუშავება);

დამაბინძურებლებით გამოწვეული დაავადებებია:

▪ ასთმა, ბრონქებისა და ფილტვების დაავადებები;

▪ რესპირატორული სისტემების დაავადება, ლორწოვანი გარსის გაღიზიანება;

▪ თავბრუსხვევა, სისხლმბადი ორგანოების დაავადებები (ლომფომა, ლეიკემია)[4]

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) 2017 წლის ანგარიშის „ჯანმრთელობის მონიტორინგი მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“ მიხედვით, საქართველო ევროპაში მესამე ადგილზე იყო შენობაში და შენობის გარეთ არსებული დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული სიკვდილიანობით (ყოველ 100 000 ადამიანზე) (იხ. დიაგრამა 1). [5]

---

[3] https://commersant.ge/ge/post/2060-wlistvis-msoflio-ekonomikas-haeris-dabindzureba-26-trilion-dolarad-daudjdeba

[4] https://netgazeti.ge/news/260957/

[5] http://liberali.ge/news/view/39659/atmosferuli-haeris-dabindzureba--ra-gamotsvevebia-evrointegratsiis-gzaze

დიაგრამა 1.



როგორც ვხედავთ, მდგომარეობა საგანგაშო იყო: აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ბოსნია-ჰერცოგოვინასა და ბულგარეთის შემდეგ საქართველოს მესამე ადგილი ეკავა.

დაბინძურების თვალსაზრისით პრობლემას ქმნის ასევე ჩვენ ქვეყანაში არსებული ფაბრიკა-ქარხნებიც. დაფიქსირებულია ზესტაფონში სამრეწველო გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურების შემთხვევები. როგორც ქალაქის მოსახლეობა აღნიშნავს, ქალაქი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას, რადგან ქარხნის გამონაბოლქვი ჰაერს აბინძურებს, რაც უამრავ დაავადებას იწვევს.[6] მსგავსი პრობლემები აწუხებთ ქუთაისის, კასპის, რუსთავის მაცხოვრებლებსაც, სადაც ქარხნები დიდი რაოდენობით გამონაბოლქვს უშვებენ, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება. 2019 წლის ზაფხულში რუსთავში, კომპანია „ჯეოსთილის“ მეტალურგიულ ქარხანასთან, საზოგადოებრივი მოძრაობის „გავიგუდეთ“ აქტივისტებმა

[6]https://imedinews.ge/ge/saqartvelo/50119/zestaponshi-samretsvelo-gamonabolqvit-haeris-dabindzurebas-aprotesteben

და მოქალაქეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, „ჯეოსთილი“ ფილტრების გარეშე მუშაობდა და ქალაქს მავნე გამონაბოლქვით აბინძურებდა.[7]

საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემები სტაციონალურ წყაროებში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შესახებ რეგიონულ ჭრილში. (იხ. დიაგრამა 2)[8]

დიაგრამა 2.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, საგანგაშო მდგომარეობა რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტად აღინიშნება ქვემო ქართლში (40.4%) იმერეთში (24.4%), შიდა ქართლში (14.2%) და შედარებით მცირე რაოდენობით სხვა რეგიონებში.[9]

[7] https://www.interpressnews.ge/ka/article/555081-rustavis-jeostilis-karxanastan-mozraobam-gavigudet-akcia-gamarta/
[8] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika
[9] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika

2. მწვანე ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა

„მწვანე“ ეკონომიკა არის ინოვაციური ეკონომიკის ის ნაწილი, სადაც გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება არის მინიმიზებული და მიმართულია ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. იგი ხასიათდება ნახშირბადის დაბალი შემცველობით, რესურსების რაციონალური მოხმარებითა და სოციალური ინკლუზიურობით, განსხვავებით „ყავისფერი“ ანუ ტრადიციული ეკონომიკისაგან, რომელიც ხასიათდება ნახშირბადის მაღალი შემცველობით (ვინაიდან იგი ძირითადად ემყარება წიაღისეული სათბობის გამოყენებას), რესურსების მფლანგველური მოხმარებითა და სოციალური ექსკლუზიურობით. იგი გულისხმობს ეკოლოგიური მოთხოვნების რესურსების რაციონალური გამოყენების, ბუნების კვლავწარმოების პროცესების შენარჩუნების, ცოცხალი ორგანიზმების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მწარმოებლურობის გაზრდის გზით ადამიანთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მწვავე ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების დაარსება და განვითარება. სოციალური მეწარმეობა უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო მზარდ ინტერესს იწვევს მრავალ ქვეყანაში. დადებითი სოციალური ეფექტის გარდა, სოციალური მეწარმეობის განვითარება ამცირებს უმუშევრობის დონეს, ზრდის ეკონომიკურ შემოსავლებს, ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ სოციალური ეკონომიკა ასაქმებს 11 მილიონ ადამიანს ევროკავშირში, რაც მთლიანად დასაქმებულთა რაოდენობის 6% უტოლდება.[10]

ისტორიული თვალსაზრისით სოციალური მეწარმეობის კონცეფციის მსგავსი მიდგომები ანტიკური ეპოქიდან გვხვდება,

[10] ნ. ნოზაძე, სოციალური მეწარმეობა, http://geoeconomics.ge/?p=13544

თუმცა, მისი ფორმალიზება, კონკრეტული კრიტერიუმების შემუშავება-ჩამოყალიბება და იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევა ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება და აქტიურად, უკვე 90-იანი წლების შემდგომ იწყებს გავრცელებას.[11]

სოციალური მეწარმეობა XIX საუკუნის ევროპაში კოოპერატიული მოძრაობიდან დაიბადა. ტერმინ „სოციალური მეწარმეობის" პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის უილიამ დრეიტონს. 1980 წელს მან დააფუძნა „აშოკა" – საზოგადო ინოვატორების არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობდა სოციალურ მეწარმეობას. დეიტონი სოციალურ საწარმოებს 4 მახასიათებლით არჩევდა: შემოქმედებითობა, სამეწარმეო ხარისხი, სოციალური გავლენა და ეთიკური ჭრილი. მისი თქმით სწორედ სოციალური მეწარმეები წარმოადგენენ სოციალური ცვლილებების მამოძრავებელ ძალას.

ევროპის კომისიის (ევროკომისია) მიერ 2011 წელს გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, „სოციალური საწარმო არის სოციალური ეკონომიკის ოპერატორი, რომლის მთავარი მიზანია სოციალური გავლენის მოხდენა და არა მათი მფლობელებისთვის ან აქციონერებისთვის მოგების მიღება. ის ... თავის მოგებას იყენებს ძირითადად სოციალური მიზნების მისაღწევად".[12]

მაშასადამე, სოციალური საწარმო არის საწარმო, რომელსაც სოციალური მისია აკისრია. იგი ძირითადად საქმიანობს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოსაგან

---

[11] გ. ჩიტიშვილი, სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში და მისი გავლენა ინოვაციური ბიზნესის გადაწყვეტილებებზე, თბ., 2019, https://openscience.ge/bitstream/1/754/1/samagistro%20chitishvili%20giga.pdf

[12] https://ec.europa.eu/transparency/documents-register/detail?ref=COM(2011)682&lang=en

განსხვავებით, სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური.[13]

საქართველოში სოციალური მეწარმეობა ახალგაზრდა, სწრაფად განვითარებად, თუმცა დაურეგულირებელ და სამართლებრივი აღიარების არმქონე სფეროდ შეიძლება ჩაითვალოს.[14] არ არის მიღებული კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე არ იძებნება სოციალური მეწარმეობისა და სოციალური მეწარმის განმარტება.

სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარების ზრდა საქართველოში 2010 წლიდან იწყება, როდესაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ევროპის ფონდმა და ბრიტანეთის საბჭომ გააერთიანეს ძალისხმევა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით. მას შემდეგ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, აკადემიურ სექტორში, ახალგაზრდებში, მედიასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის სფეროს მიმართ ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება.[15] იზრდება სოციალურ საწარმოთა რიცხვიც. მათ შორის გამონაკლისი არც შიდა ქართლია.

3. ევროკავშირის როლი სოციალური მეწარმეობის განვითარებაში შიდა ქართლში

როგორც შიდა ქართლში, ისე მთლიანად ჩვენ ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში ევროკავშირის როლი უმნიშვნელოვანესია. 2020 წლის დეკემბერში ორგანიზაცია CENN-მა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის

---

[13] ე. დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობა საქართველოში: საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა, http://www.seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

[14] სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა, https://civilin.org/wp-content/uploads/2022/02/Social_Entrepreneurship_Research.pdf

[15] ე. დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობა საქართველოში: საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა, http://www.seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

„EU4Youth: საზღვრისპირა რეგიონებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის" ფარგლებში ნინოწმინდის, გორისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის მთავარი ამოცანა ახალგაზრდების (18-29 წლის), შშმ პირების, საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების, გოგონების, ეკომიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების გაძლიერება გახლდათ.[16] საგრანტო კონკურსის ფარგლებში გორსა და გორის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოციალური საწარმო დაფინანსდა.

განვიხილოთ გორსა და გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი ზოგიერთი სოციალური საწარმო.

ქ. გორში გახსნილი სოციალური საწარმო, სამკერვალო „ლიდერი" ერთ-ერთი პირველი სამკერვალოა რეგიონში, რომელმაც შეიმუშავა ტექსტილის ნარჩენების გადამუშავების სტრატეგია. საწარმოს ხელმძღვანელობს მეწარმე ქალი – ნინო გიორგაძე. „წარმოებაში ნულოვანი ნარჩენი" - ამ დევიზით, კომპანია საკუთარ და 35 პარტნიორი სამკერვალო საწარმოს ნარჩენს ამუშავებს.[17] ყოველი გადაუმუშავებელი კილოგრამი სამკერვალო ნარჩენი, რომლის გახრწნასაც 200 წელზე მეტი სჭირდება, სოციალური უპასუხისმგებლობის შემთხვევაში, შეიძლება, ბუნებაში იყოს „გაბნეული" და უდიდესი ეკოლოგიური ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.[18] როგორც მეწარმე ნ. გიორგაძის აღნიშნავს, მისი საწარმო 35 საწარმოდან იღებს სამკერვალო ნარჩენს და მისი გადამუშავების გზით ქმნიან ახალ პროდუქტს. ნ. გიორგაძე ვარაუდით, 2022 წლის ბოლოსთვის მის საწარმოს უკვე 10 ტონა ნარჩენი ექნება გადამუშავებული, რაც დაგეგმილზე 2-ჯერ მეტია. საწარმოში დასაქმებულია სხვადასხვა სოცია-

[16] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/ევროკავშირის-მხარდაჭერით-eu4youth-პროგრამის-ფარგლებში-cenn-საქართველოს-3_ka?s=221
[17] https://gmnews.com.ge/geo/6497
[18] https://gmnews.com.ge/geo/6497

ლური კატეგორიის 26 ქალი, მათ შორის: სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები (მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარები), ე.წ. გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლის მცხოვრები პირები და მარტოხელა დედები.[19]

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მდებარე სამკერვალო „ბამანე“, რომელიც ქეთევან კვაჭანტირაძემ დააარსა (EU4Youth-SEED ბენეფიციარი), მონარჩენი ქსოვილებიდან ბავშვებისათვის საძილე ტომრებს კერავს. საწარმოს რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს ასაქმებს და სამომავლოდ გაფართოებასაც გეგმავს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტი ადამიანის დასაქმების საწინდარი იქნება. როგორც ქ. კვაჭანტირაძე აღნიშნავს, საწარმო კარალეთში, რუსული ბაზიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს და მისი მიზანი კარალეთის მსგავს სოფლებში მდგრადი თემების შექმნაა, რათა ისინი არ დაცარიელდნენ და ახალგაზრდებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ადგილობრივად დასაქმდნენ და გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.[20]

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში მდებარე კომპანია „ფით“ და მისი პროდუქცია „ჩემპი“, რომელიც სამმა სტუდენტმა დააფუძნა, ჯანსაღი ხემსის სტარტაპია, კომპანია ამ ეტაპზე შრობის ინოვაციური მეთოდით აწარმოებს ვაშლის ჩიფსს. „ჩემპის“ მისიაც ე.წ. საზღვრისპირა რეგიონის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და უნარჩენო წარმოების განვითარებაა. ამასთან, საწარმოს პრიორიტეტული მიმართულება გახლავთ ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერებაც.[21]

ყვავილების სათბური „ფლორა ვილ“ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვარში არსებული სასათბურე მეურნეობაა, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ქალი მეწარმე ნათია ირემაძე. საწარმო მიზნად ისახავს ახალგაზრ-

[19] https://gmnews.com.ge/geo/6497
[20] http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/41926-მეწარმეობა
[21] https://gmnews.com.ge/geo/6497

დების გადამზადებას სასათბურე მეურნეობის მართვის მიმართულებით. „ფლორა ვილი“ აწარმოებს ოთახის ყვავილებისა და მცენარეების სხვადასხვა სახეობას.[22]

CENN-მა, მწვანე ეკონომიკური დოვლათის დაგროვებისა და შექმნის საშუალება მისცა ასევე გორის მუნიციპალიტეტის „სოფიოგა - იოგას სტუდიას“ და ინოვაციური სათბურის - „გლობალ ეკო პროჯექტ ჯორჯია - ბიომეურნეობის ჰაბის“ დამფუძნებლებსაც, რომლებმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყეს ისეთი ბენეფიციარების დასაქმებას, რომლებიც არიან მოწყვლადი ჯგუფებიდან და სოციალურთან ერთად, ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგანან.[23]

დასკვნა

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე შეგვიძლია შემდეგი დასკვნები და წინადადებები წარმოვადგინოთ:

- შიდა ქართლში ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით არ არის სახარბიელო მდგომარეობა. მიგვაჩნია, რომ მწვანე ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობის განვითარება ხელს შეუწყობს ეკოლოგიური პრობლემების გარკვეულწილად მოგვარებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და გაატაროს სოციალური მეწარმეობის განვითარების მასტიმულირებელი პოლიტიკა და ღონისძიებები;

- შიდა ქართლში ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში არსებობს სოციალური მეწარმეობის განვითარების კარგი შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე შესაძლებელია დაწესდეს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები და შეღავათიანი კრედიტები;

- საქართველოში მოქმედი კომპანიების მხრიდან სასურველია სოციალური მეწარმეობის განვითარების უცხოური გამოცდილების გაზიარება;

---

[22] http://environment.cenn.org/ge/გორის-მუნიციპალიტეტის-ქა/
[23] https://gmnews.com.ge/geo/6497

- სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა. ვინაიდან ჯერ-ჯერობით, არ არის მიღებული კანონი „სოციალური მეწარმეობის შესახებ“, აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა;

- აუცილებლად მიგვაჩნია სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობადობის ამაღლება მოსახლეობაში. ვინაიდან სოციალური მეწარმეობა ახალგაზრდა და სწრაფად განვითარებადი დარგია, საჭიროა უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება ბიზნესისთვის, სტუდენტებისთვის და ზოგადად მოსახლეობისთვის ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების სახით, რაც, ჩვენი აზრით, სამომავლოდ ხელს შეუწყობს და გაზრდის ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო კონკურსებით მათ დაინტერესებას.

ამრიგად, ევროკავშირის როლი შიდა ქართლში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში უდავოდ დიდია. სოციალური მეწარმეობის განვითარება კი ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. სოციალური მეწარმეობის განვითარება, ცხადია, ხელს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, გაზრდის ეკონომიკურ შემოსავლებს. ჩვენ მიერ ყოველივე ზემოთ განხილული კი სოციალური მეწარმეობის განვითარების პერსპექტივებზე გვაფიქრებინებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობა საქართველოში: საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა, http://www.seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf
2. ნ. ნოზაძე, სოციალური მეწარმეობა, http://geoeconomics.ge/?p=13544
3. გ. ჩიტიშვილი, სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში და მისი გავლენა ინოვაციური ბიზნესის გადაწყვეტილებებზე, თბ., 2019,

https://openscience.ge/bitstream/1/754/1/samagistro%20chitishvili%20giga.pdf
4. სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა, https://civilin.org/wp-content/uploads/2022/02/Social_Entrepreneurship_Research.pdf
5. http://www.eiec.gov.ge/თემები/Air/Documents/Publication/ჰაერი-(1).aspx
6. https://ka.wikipedia.org/wiki/გარემოს_დაბინძურება
7. https://commersant.ge/ge/post/2060-wlistvis-msoflio-ekonomikas-haeris-dabindzureba-26-trilion-dolarad-daudjdeba
8. https://netgazeti.ge/news/260957/
9. http://liberali.ge/news/view/39659/atmosferuli-haeris-dabindzureba--ra-gamotsvevebia-evrointegratsiis-gzaze
10. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/50119/zestaponshi-samretsvelo-gamonabolqvit-haeris-dabindzurebas-aprotesteben
11. https://www.interpressnews.ge/ka/article/555081-rustavis-jeostilis-karxanastan-mozraobam-gavigudet-akcia-gamarta/
12. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika
13. https://ec.europa.eu/transparency/documents-register/detail?ref=COM(2011)682&lang=en
14. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/ევროკავშირის-მხარდაჭერით-eu4youth-პროგრამის-ფარგლებში-cenn-საქართველოს-3_ka?s=221
15. https://gmnews.com.ge/geo/6497
16. http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/41926-მეწარმეობა
17. http://environment.cenn.org/ge/გორის-მუნიციპალიტეტის-ქა/